

სახელმძღვანელო პრინციპები თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებასთან დაკავშირებული სათანადო კრიტერიუმებისა და სტანდარტებისა და დაკავების ალტერნატივების შესახებ

*თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და გადაადგილების თავისუფლება
ვრცელდება თავშესაფრის მაძიებლებზე*

დაკავება ხორციელდება კანონის შესაბამისად და კანონის საფუძველზე

*განუსაზღვრელი ვადით დაკავება უკანონოა, დაკავების მაქსიმალური ვადა
განისაზღვრება კანონით*

*პირის დაკავების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების
მიღებისას დაცული უნდა იქნეს მინიმალური საპროცესო გარანტიები*

*გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული თავშესაფრის მაძიებელთა
განსაკუთრებული მდგომარეობა და საჭიროებები*

დაკავების პირობები უნდა იყოს ჰუმანური და ღირსეული

*დაკავებისა და პატიმრობის პირობები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ
მონიტორინგსა და ინსპექტირებას*

პატიმრობის პირობები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული

*დაუშვებელია თვითნებური დაკავება, დაკავების შესახებ ნებისმიერი
გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს თითოეული კონკრეტული შემთხვევის
გარემოებათა შეფასებას*

თავშესაფრის უფლება დაცული უნდა იქნეს

UNHCR გამოსცემს ამ სახელმძღვანელო პრინციპებს თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებასთან დაკავშირებული სათანადო კრიტერიუმებისა და სტანდარტების და დაკავების ალტერნატივების შესახებ მისი მანდატის შესაბამისად, რომელიც დადგენილია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდებით, და ასევე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის და მისი 1967 წლის ოქმის II მუხლის შესაბამისად. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ანაცვლებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის 1999 წლის თებერვლის სახელმძღვანელო პრინციპებს თავშესაფრის მაძიებელ პირთა დაკავებასთან დაკავშირებული კრიტერიუმებისა და სტანდარტების შესახებ.

ეს სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავს იყოს ერთგვარი გზამკვლევი მთავრობებისთვის, პარლამენტარებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებთათვის, სასამართლო ორგანოების ჩათვლით, ასევე სხვა საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანოებისთვის, რომლებიც პატიმრობისა და თავშესაფრის საკითხებზე მუშაობენ, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციების, ეროვნული უწყებების და UNHCR-ის თანამშრომელთა ჩათვლით.

სახელმძღვანელო პრინციპები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

<http://www.unhcr.org/refworld/docid/503489533b8.html>

© UNHCR 2012

შინაარსი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 5 |
| გამოყენების ფარგლები..... | 6 |
| ტერმინოლოგია..... | 7 |
| სახელმძღვანელო პრინციპები..... | 9 |
| პრინციპი 1: თავშესაფრის უფლება დაცული უნდა იქნეს | 10 |
| პრინციპი 2: თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და გადაადგილების თავისუფლება ვრცელდება თავშესაფრის მაძიებლებზე..... | 10 |
| პრინციპი 3: დაკავება უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად და კანონის საფუძველზე..... | 11 |
| პრინციპი 4: დაუშვებელია თვითნებური დაკავება, დაკავების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს თითოეული კონკრეტული შემთხვევის გარემოებათა შეფასებას, შემდეგი პირობების შესაბამისად:..... | 12 |
| 4.1: დაკავება არის გამონაკლისი ზომა და იგი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ კანონიერი მიზნებისთვის..... | 13 |
| 4.1.1 საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად..... | 13 |
| 4.1.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად..... | 15 |
| 4.1.3 ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად..... | 16 |
| 4.1.4 მიზნები, რომლებიც არ შეიძლება გახდეს დაკავების საფუძველი..... | 16 |
| პრინციპი 4.2: დაკავება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ემსახურება კანონიერ მიზანს და დადგენილია, რომ იგი არის აუცილებელი, გონივრული ყველა გარემოებაში და ლეგიტიმური მიზნის პროპორციული..... | 17 |
| პრინციპი 4.3: გათვალისწინებული უნდა იქნეს დაკავების ალტერნატივები..... | 18 |
| პრინციპი 5: პატიმრობის პირობები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული..... | 20 |
| პრინციპი 6: განუსაზღვრელი ვადით პატიმრობა უკანონოაა, მაქსიმალური საპატიმრო ვადა განისაზღვრება კანონით | 21 |
| პრინციპი 7: პირის დაკავების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაცული უნდა იქნეს მინიმალური საპროცესო გარანტიები | 21 |
| პრინციპი 8: დაკავების პირობები უნდა იყოს ჰუმანური და ღირსეული..... | 23 |
| პრინციპი 9: გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული თავშესაფრის მაძიებლის განსაკუთრებული მდომარეობა და საჭიროებები | 26 |
| პრინციპი 9.1 ტრავმირებულნი ან წამების მსხვერპლნი | 26 |
| პრინციპი 9.2 ბავშვები..... | 27 |
| პრინციპი 9.3 ქალები..... | 30 |

| | |
|--|----|
| პრინციპი 9.4 ტრაფიკინგის მსხვერპლნი ან პოტენციური მსხვერპლნი..... | 31 |
| პრინციპი 9.5 შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთაგვშესაფრის მაძიებლები..... | 31 |
| პრინციპი 9.6 ხანდაზმული თავშესაფრის მაძიებლები..... | 31 |
| პრინციპი 9.7 ლესბოსელი, ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი ან ინტერსექსუალი თავშესაფრის მაძიებლები..... | 32 |
| პრინციპი 10: დაკავებისა და პატიმრობის პირობები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ მონიტორინგსა და ინსპექტირებას | 32 |
| დანართი A: დაკავების ალტერნატივები..... | 34 |
| სქოლიოები..... | 39 |
| სასარგებლო ბმულები..... | 49 |

1. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება ადამიანის საყოველთაო უფლებაა, რომელიც გამოხატულია თვითნებური დაპატიმრების საერთაშორისო აკრძალვით და გამყარებულია გადაადგილების თავისუფლების უფლებით. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ასახავს თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის არსებულ მდგომარეობას, სადაც გათვალისწინებულია მრავალი დეტალი, რომელთაგანაც შეხება უხდებათ ეროვნულ უწყებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თავშესაფრის მინიჭებას არალეგალური მიგრაციით გამოწვეულ შემთხვევებში. პრინციპებში ასევე ასახულია სახელმწიფოთა უფლება აკონტროლონ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა/მოქალაქეობის არმქონე პირთა მათ ტერიტორიაზე შესვლა და დარჩენა ლტოლვილთა შესახებ კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ფარგლებში.¹ ეს სახელმძღვანელო პრინციპები გამიზნულია:
 - ა) მთავრობებისათვის მათ მიერ, მიგრაციული პოლიტიკის და თავშესაფრის მიცემის პოლიტიკის შემუშავებისას, რომელთა ფარგლებშიც დგინდება დაკავების პირობების სტანდარტები; და
 - ბ) გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტულ შემთხვევებში დაკავების აუცილებლობის შესახებ, მოსამართლეთა ჩათვლით.
2. იმის გათვალისწინებით, რომ თავშესაფრის მაძიებელ პირთა დაკავება სირთულეებს იწვევს, ლტოლვილთა შესახებ კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა სამართლის შესაბამისად თავშესაფრის მაძიებელ პირთა დაკავება ჩვეულებრივ თავიდან უნდა იქნეს აცილებული და იგი უკიდურეს ზომად უნდა განიხილებოდეს. ვინაიდან თავშესაფრის ძიება უკანონო ქმედება არ არის, თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამ უფლებას ახორციელებენ, უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დროულად განხილული. დაკავება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი კანონიერ მიზანს ემსახურება და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ეს ზომა არის აუცილებელი და პროპორციული. თავშესაფრის ძიების უფლების პატივისცემა ითვალისწინებს თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიღების ჰუმანურ და ხელმისაწვდომ მექანიზმებს, უსაფრთხოების და ღირსეული და ადამიანის უფლებების მოთხოვნებით გათვალისწინებული მოპყრობის ჩათვლით.²
3. მთავრობას, დაკავების გარდა, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის მრავალი სხვა საშუალება აქვს, სადაც გათვალისწინებულია მთავრობათა ინტერესები და კონკრეტულ საქმეთა გარემოებები.³ ფაქტობრივად, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ თავშესაფრის მაძიებლის დაკავება ხელს უშლის არალეგალურ მიგრაციას.⁴ რაიმე ასეთი ზემოქმედების მიუხედავად, დაკავების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია არალეგალური მიგრაციის დონის შემცირებისკენ, როგორც წესი, იმართება პრინციპებით, რომლებიც უკანონოა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, რამეთუ იგი არ

ეფუძნება ადამიანის ტუსადობის აუცილებლობის ინდივიდუალურ შეფასებას. მთავრობებს რეკომენდაცია ეძლევათ, ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად, გადახედონ თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების პოლიტიკასა და პროცედურას, დაკავების ალტერნატივებთან დაკავშირებული ბოლო პერიოდის კვლევების ფონზე (ზოგიერთი მათგანი ამ სახელმძღვანელო პრინციპებშია აღწერილი). UNHCR-ი მზადაა დახმარება გაუწიოს მთავრობებს პროგრამების შემუშავებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ დაკავების ალტერნატივებს.

გამოყენების ფარგლები

4. ეს სახელმძღვანელო ასახავს დაკავებულ თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მაძიებელ სხვა პირთა მდგომარეობას - იმიგრაციასთან დაკავშირებულ საფუძვლებზე. ისინი თანაბრად გამოიყენება ლტოლვილთა და სხვა პირთა მიმართ, რომლებსაც საერთაშორისო დაცვა სჭირდებათ, რომლებიც დაკავებულნი არიან უშუალოდ იმიგრაციასთან დაკავშირებული მიზეზებით. პრინციპები აგრეთვე ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებიც თავშესაფრის მაძიებელნი არიან, თუმცა ისინი კონკრეტულად არ ეხება იმ პირებს, რომლებიც მოქალაქეობის არმქონენი არიან, მაგრამ თავშესაფარს არ ეძებენ,⁵ პირებს - რომლებსაც საერთაშორისო დაცვა არ სჭირდებათ,⁶ ან სხვა მიგრანტებს, თუმცა, აქ აღწერილი მრავალი სტანდარტი, შეიძლება მათ მიმართაც იქნეს გამოყენებული *mutatis mutandis* (შესაბამისი ცვლილებებით, *მთარგმნელის შენიშვნა*). კერძოდ, ეს ეხება, მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც არ არიან ლტოლვილები და საიმიგრაციო პოლიტიკის კონტექსტში თვითნებური დაკავების დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ეს სახელმძღვანელო პრინციპები არ მოიცავს თავშესაფრის მაძიებლებს ან ლტოლვილებს, რომლებსაც თავისუფლება აღკვეთილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით.

ტერმინოლოგია

დაკავება

5. სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებისთვის „დაკავება“ ნიშნავს თავისუფლების აღკვეთას ან დახურულ ადგილზე მოთავსებას, რომლის საკუთარი ნებით დატოვების უფლებაც თავშესაფრის მაძიებელს არა აქვს. ასეთ ადგილებს მიეკუთვნება, თუმცა ამით არ ამოიწურება, ციხეები და პატიმრობის სპეციალური ადგილები, დახურული ტიპის მიმღები ან დროებითი განთავსების ცენტრები და ობიექტები.
6. დაკავების ადგილები შეიძლება იმართებოდეს სახელმწიფო ორგანოების ან კერძო კონტრაქტორების მიერ; პირის დაკავება შეიძლება სანქცირებული იყოს ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით, ან პირი შეიძლება დაკავებული

იყოს ხელისუფლების „კანონიერი“ სანქციით ან მის გარეშე. დაკავება ან სრული პატიმრობა თავისუფლების აღკვეთის უკიდურესი ზომაა (იხ. გამოსახულებაგამოსახულება 1). იმიგრაციის კონტექსტში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის სხვა სახეები ასევე კლასიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.⁷ თავისუფლების აღკვეთასა (დაკავებასა) და გადაადგილების შეზღუდვის სხვა ნაკლებად მკაცრ მეთოდებს შორის განსხვავება განისაზღვრება „ხარისხითა და ინტენსიობით, და არა ბუნებით ან შინაარსით“.⁸ მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო პრინციპები უფრო მეტად დაკავებას (ან ზოგადად ტუსალობას) ეხება, მასში ამავდროულად განხილულია ზომები, რომლებიც თავისუფლების ნაწილობრივ აღვეთას უკავშირდება.

7. დაკავება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის, სახმელეთო ან საზღვაო საზღვრებთან, აეროპორტების „საერთაშორისო ზონებში“,⁹ კუნძულებზე,¹⁰ გემებზე,¹¹ ასევე, ლტოლვილთა დახურულ ბანაკებში, კერძო სახლებში (შინაპატიმრობა) და თვით ექსტრატერიტორიულადაც.¹² იმის მიუხედავად, თუ სად არის პირი დაკავებული დაკავების კონკრეტული ადგილის მიუხედავად, ყველაზე მთავარ საკითხად რჩება, აქვს თუ არა თავშესაფრის მაძიებელს თავისუფლება აღკვეთილი დე ფაქტო, და არის თუ არა ეს თავისუფლების აღკვეთა კანონიერი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.



გამოსახულება 1¹³

დაკავების ალტერნატივები

8. ტერმინი „დაკავების ალტერნატივები“ იურიდიული ტერმინი არ არის, მაგრამ ამ სახელმძღვანელო პრინციპებში იგი გამოიყენება მითითებად ნებისმიერ საკანონმდებლო აქტზე, პოლიტიკასა თუ სტანდარტებზე, რომლებიც თავშესაფრის მაძიებელ პირებს საშუალებას აძლევს იცხოვროს გარკვეულ მუნიციპალიტეტებში, გარკვეული პირობების ან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის დაცვით. ვინაიდან დაკავების ალტერნატივა გადაადგილების თავისუფლების ან თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა ფორმებსაც გულისხმობს (და ზოგიერთი მათგანი შეიძლება მიეკუთვნოს დაკავების სახეებს), ისინი ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ ადამიანის უფლებათა მოთხოვნებს (იხ. გამოსახულებაგამოსახულება 2).

თავშესაფრის მაძიებელი პირი

9. ამ სახელმძღვანელო პრინციპებში ტერმინი „თავშესაფრის მაძიებელი პირი“ აღნიშნავს პირს, რომელიც მოითხოვს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას „ლტოლვილის“ დეფინიციის შესაბამისად, რომელიც მოცემულია ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციაში და მის 1967 წლის ოქმში („1951 წლის კონვენცია“),¹⁴ ან ლტოლვილებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა რეგიონული დოკუმენტის¹⁵ შესაბამისად. ეს ტერმინი ასევე მოიცავს სხვა პირებს, რომლებსაც სჭირდებათ დაცვის დამატებითი, დამხმარე ან დროებითი ფორმები.¹⁶ ეს სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს პირებს, რომელთა განაცხადები განიხილება ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის პროცედურის ფარგლებში, ასევე დასაშვებობის განსაზღვრის, წინასწარი შემოწმების და სხვა ანალოგიური პროცედურების დროს. ისინი ასევე გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის სასამართლოში გასაჩივრების უფლებით სარგებლობენ.

მოქალაქეობის არმქონე პირი

10. საერთაშორისო სამართლის საფუძველზე „მოქალაქეობის არმქონე პირი“ არის პირი, რომელიც „არ მიიჩნევა რომელიმე ქვეყნის მოქალაქედ ამ ქვეყანაში მოქმედი კანონის შესაბამისად“.¹⁷ თავშესაფრის მაძიებელი მოქალაქეობის არმქონე პირი ნიშნავს პირს, რომელიც ცდილობს მიიღოს ლტოლვილის სტატუსი 1951 წლის კონვენციის შესაბამისად,¹⁸ ან საერთაშორისო დაცვის რაიმე სხვა ფორმა.

UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები დაკავების შესახებ

პრინციპი 1. თავშესაფრის უფლება დაცული უნდა იქნეს

პრინციპი 2. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და გადაადგილების თავისუფლება ვრცელდება თავშესაფრის მაძიებლებზე

პრინციპი 3. დაკავება უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად და კანონის საფუძველზე

პრინციპი 4. დაუშვებელია თვითნებური დაკავება, დაკავების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს თითოეული კონკრეტული შემთხვევის გარემოებათა შეფასებას, შემდეგი პირობების შესაბამისად:

პრინციპი 4.1 დაკავება არის გამონაკლისი ზომა და იგი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ კანონიერი მიზნებისთვის

პრინციპი 4.2 დაკავება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ემსახურება კანონიერ მიზანს და დადგენილია, რომ იგი არის აუცილებელი, გონივრული ყველა გარემოებაში და ლეგიტიმური მიზნის პროპორციული

პრინციპი 4.3 გათვალისწინებული უნდა იქნეს დაკავების ალტერნატივები

პრინციპი 5. პატიმრობის პირობები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული

პრინციპი 6. განუსაზღვრელი ვადით პატიმრობა უკანონოა, მაქსიმალური საპატიმრო ვადა განისაზღვრება კანონით

პრინციპი 7. პირის დაკავების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაცული უნდა იქნეს მინიმალური საპროცესო გარანტიები

პრინციპი 8. დაკავების პირობები უნდა იყოს ჰუმანური და ღირსეული

პრინციპი 9. გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული თავშესაფრის მაძიებელთა განსაკუთრებული მდომარეობა და საჭიროებები

პრინციპი 10. დაკავებისა და პატიმრობის პირობები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ მონიტორინგსა და ინსპექტირებას

პრინციპი 1:

თავშესაფრის უფლებას პატივი უნდა სცენ და უნდა დაიცვან

11. ყველას აქვს უფლება სხვა ქვეყანაში ეძიოს და მიიღოს თავშესაფარი დევნისაგან, ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევებისა და სხვა სერიოზული საფრთხეებისაგან. ამრიგად, თავშესაფრის ძიება უკანონო ქმედება არ არის.¹⁹ გარდა ამისა, 1951 წლის კონვენცია ითვალისწინებს, რომ თავშესაფრის მაძიებლები, ქვეყანაში უკანონოდ შესვლისა და ყოფნისთვის არ უნდა დაისაჯონ, თუკი ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ ხელისუფლებას ასეთი ფაქტის შესახებ და ქვეყანაში მათი უკანონოდ შესვლისა და ყოფნის შესახებ დამაკმაყოფილებელ ახსნა-განმარტებას წარადგენენ.²⁰ თავშესაფრის ძიების უფლების განხორციელებისას თავშესაფრის მაძიებელი პირები,

ხშირად იძულებულნი არიან ჩავიდნენ ან შევიდნენ ტერიტორიაზე წინასწარი ნებართვის გარეშე. ამრიგად, თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობა შეიძლება საფუძვლიანად განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი მიგრანტებისაგან იმით, რომ მათ შესაძლოა ვერ შეძლონ ყველა იურიდიული ფორმალობის შესრულება, რომელიც ქვეყანაში შესვლისთვისაა აუცილებელი. მაგალითად, დევნის შიშის და/ან სასწრაფოდ გამგზავრების აუცილებლობის გამო მათ შეიძლება ვერ შეძლონ ქვეყნიდან გამოქცევის წინ საჭირო ყველა დოკუმენტის წინასწარ მიღება. ეს ფაქტორები, ასევე ის ფაქტი, რომ თავშესაფრის მაძიებელი პირები ხშირად არიან ტრავმული მოვლენების მონაწილენი, გათვალისწინებული უნდა იქნეს გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ზომების დაწესებისას, რომლებიც გათვალისწინებულია ქვეყანაში უკანონოდ შესვლისთვის ან ყოფნისათვის.

პრინციპი 2:

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და გადაადგილების თავისუფლება ვრცელდება თავშესაფრის მაძიებლებზე

12. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების²¹ და გადაადგილების თავისუფლების²² ფუნდამენტური უფლებები ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა ძირითად საერთაშორისო და რეგიონულ დოკუმენტშია ასახული. ისინი სამართლის უზენაესობის პრინციპზე აგებული სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. უმაღლესი კომისრის პროგრამის აღმასრულებელმა კომიტეტმა (აღმასკომი) მრავალჯერ განიხილა საკითხი თავშესაფრის მაძიებელ პირთა დაკავების შესახებ.²³ ეს უფლებები ეხება ყველა ადამიანს, მიუხედავად იმისა, აქვთ მათ მიგრანტის, ლტოლვილის, თავშესაფრის მაძიებლის თუ რაიმე სხვა სტატუსი.²⁴
13. 1951 წლის კონვენციის 31-ე მუხლი კონკრეტულად ითვალისწინებს ლტოლვილთა (და თავშესაფრის მაძიებელთა) დაცვას დასჯისაგან, რომლებიც უკანონოდ შევიდნენ ან იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე, თუკი ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ ხელისუფლებას ამ ფაქტის შესახებ და წარადგენენ დამაკმაყოფილებელ ახსნა-განმარტებას ქვეყანაში უკანონო შესვლასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეს მუხლი ითვალისწინებს, რომ ასეთი ლტოლვილების (ან თავშესაფრის მაძიებელთა) მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ზომები, გარდა გადაუდებელი ზომებისა, ხოლო ასეთი შეზღუდვები გამოიყენება მათი სტატუსის საკითხის გადაწყვეტამდე, ან მათი სხვა ქვეყანაში შესვლის უფლების მიღებამდე.²⁵ 1951 წლის კონვენციის 26-ე მუხლი აგრეთვე ითვალისწინებს თავისუფალი გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად შერჩევის უფლებას იმ ლტოლვილებისთვის, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე.²⁶ თავშესაფრის მაძიებელი პირების ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა კანონიერადაა მიჩნეული მაშინ, როდესაც დაცულია ამ დებულების პირობები.²⁷

14. ეს უფლებები - თავშესაფრის ძიების უფლება, ქვეყანაში უკანონო შესვლის ან ყოფნის გამო დასჯის დაუშვებლობა, და პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და გადაადგილების თავისუფლება - ერთად აღებული, ნიშნავს, რომ თავშესაფრის მაძიებლის დაკავება არის უკიდურესი ზომა, რომლის დროსაც ზიანი ადგება თავისუფლებას.

პრინციპი 3:

დაკავება უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად და კანონის საფუძველზე

15. ყოველი დაკავება ან თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონის შესაბამისად და მის საფუძველზე.²⁸ თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმა, რომელიც არ შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, უკანონოა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების კანონიერება უპირველეს ყოვლისა ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება, იგი „ყოველთვის არ არის თავისუფლების აღკვეთის დასაბუთების გადამწყვეტი ელემენტი“.²⁹ სახელდობრ, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს, არის მთავარი მიზნის მიღწევა - თავიდან იქნეს აცილებული პირის თვითნებური დაკავება.³⁰

16. დაკავებასთან დაკავშირებული კანონები უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი დამაჯერებლობის პრინციპს. ეს, *inter alia*, გულისხმობს, რომ კანონი და მისი სამართლებრივი შედეგები უნდა იყოს განჭვრეტადი და პროგნოზირებადი.³¹ მაგალითად, კანონი, რომელიც დაკავების ნებართვას იძლევა, არ უნდა იყოს უკუქცევითი ძალის მქონე.³² ეროვნულ კანონმდებლობაში პირის დაკავების მიზეზთა მკაფიო დასაბუთება უნდა პასუხობდეს სამართლებრივი დამაჯერებლობის პრინციპს.³³

17. უკანონო თავისუფლების აღკვეთისაგან დაცვის კანონით გათვალისწინებული არასაკმარისი გარანტიები, მაგალითად, როდესაც მითითებული არ არის დაკავების მაქსიმალური ვადა ან არ არსებობს ხელმისაწვდომობა ეფექტიან სამართლიან დაცვაზე, ეჭვქვეშ აყენებს დაკავების იურიდიულ საფუძველს.³⁴

პრინციპი 4:

*დაუშვებელია თვითნებური დაკავება,
დაკავების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება
უნდა დაეფუძნოს თითოეული კონკრეტული შემთხვევის
გარემოებათა შეფასებას*

18. დაკავება მიგრაციის კონტექსტში საერთაშორისო სამართლის საფუძველზე *per se* აკრძალული არ არის, და არც პირის თავისუფლების უფლება არის

აბსოლუტური.³⁵ თუმცა, საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს გარკვეულ გარანტიებს როგორც უკანონო (იხ. პრინციპი 3), ისე თვითნებური დაკავების წინააღმდეგ. „თვითნებობა“ ფართოდ უნდა განიმარტოს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ უკანონობას, არამედ შეუსაბამობის, უსამართლობის და განჭვრეტადობის ხარვეზის ელემენტებსაც.³⁶ თვითნებობისაგან დაცვის მიზნით ყოველი ინდივიდუალური დაკავება უნდა იყოს აუცილებელი, გონივრული ყველა გარემოებათა გათვალისწინებით და ლეგიტიმური მიზნის პროპორციული (იხ. პრინციპი 4.1 და 4.2).³⁷ გარდა ამისა, ნაკლებად შემზღვევადი ზომების გაუთვალისწინებლობა ასევე შეიძლება გახდეს დაკავების თვითნებურად მიჩნევის მიზეზი (პრინციპი 4.3).

19. ძირითადი წესის თანახმად, გადაწყვეტილება დაკავების შესახებ უნდა დაეფუძნოს დაკავების აუცილებლობის დეტალურ ინდივიდუალურ შეფასებას, კანონიერი მიზნის შესაბამისად. ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გამოიყენონ შემოწმების ან შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები და უნდა გაითვალისწინონ თავშესაფრის მამიებელთა ცალკეული კატეგორიის პირთა განსაკუთრებული გარემოებები და საჭიროებები (იხ. პრინციპი 9). ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება ხდება ასეთი გადაწყვეტილებების მიღების დროს, შეიძლება მოიცავდეს თავშესაფრით უზრუნველყოფას, საბოლოო დანიშნულების სავარაუდო პუნქტს, ოჯახურ და/ან სათემო კავშირებს, ადრინდელ ქცევას და ხასიათს, და გაქცევის რისკს ან აუცილებლობის აღქმას და წესების დაცვისთვის მზაობას.
20. დაკავების ალტერნატივებთან დაკავშირებით (პრინციპი 4.3 და დანართი A), კონკრეტულ თემში თავშესაფრის მიცემის აუცილებლობა და გონივრულობა უნდა დაბალანსდეს ინდივიდუალური პირის გარემოებებთან და მიმღები თემის წინაშე მდგარ საფრთხეებთან. ნებისმიერი შეფასებისას ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ინდივიდუალური პირის და/ან მისი ოჯახის საჭიროებათა შესაბამისობა მიმღები თემის საჭიროებებთან, მხარდაჭერისთვის აუცილებელი და არსებული რესურსების ჩათვლით. იძულებითი ან ავტომატური დაკავება თვითნებურ დაკავებად მიიჩნევა, რადგან იგი არ არის დაფუძნებული დაკავების აუცილებლობის ანალიზზე თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში.³⁸

პრინციპი 4.1:

დაკავება არის გამონაკლისი ზომა და იგი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ კანონიერი მიზნებისთვის

21. დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში კანონიერი მიზნით. ასეთი მიზნის გარეშე დაკავება მიჩნეული იქნება თვითნებურად, მაშინაც კი, როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა უკანონო იყო.³⁹ დაკავების მიზნები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კანონმდებლობაში და/ან ნორმატიულ აქტებში (იხ. პრინციპი 3).⁴⁰ თავშესაფრის მამიებელთა დაკავების კონტექსტში არსებობს სამი მიზანი, რომელთა მიმართებაშიც

დაკავება შეიძლება აუცილებელი იყოს კონკრეტულ შემთხვევაში, და რომელიც ზოგადად შეესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, კერძოდ, ესენია, საზოგადოებრივი წესრიგი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა ან ეროვნული უსაფრთხოება.

4.1.1 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

მიმალვის თავიდან აცილების და/ან თანამშრომლობაზე უარის თქმის ალბათობის შემთხვევები

22. დაკავება შეიძლება აუცილებელი იყოს კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მტკიცე საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თავშესაფრის მაძიებელი შეიძლება მიიმალოს ან სხვაგვარად უარი თქვას ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე.⁴¹ ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაკავების აუცილებლობის შეფასებაში, შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, წინაისტორიას თანამშრომლობის ან თანამშრომლობაზე უარის თქმის შესახებ, პირობით ან გირაოთი განთავისუფლების პირობების შესრულების შესახებ, თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში ოჯახური და სოციალური კავშირების ან სხვა მხარდამჭერი ქსელების შესახებ, მოთხოვნასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებისთვის მზაობის ან მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ, ან მოთხოვნის დაუსაბუთებლობისა და არამართლზომიერების შესახებ.⁴² უნდა მოხდეს სათანადო შემოწმებისა და შეფასების მეთოდების გამოყენება, რათა არ მოხდეს კეთილსინდისიერი თავშესაფრის მაძიებელთა შეცდომით დაკავება.⁴³

აშკარად დაუსაბუთებელი ან ერთმნიშვნელოვნად არამართლზომიერი მოთხოვნების შემოწმების დაჩქარებული პროცედურა

23. აშკარად დაუსაბუთებელი ან ერთმნიშვნელოვნად არამართლზომიერი მოთხოვნების დაჩქარებული მეთოდებით შემოწმების საფუძველზე დაკავების შემთხვევები კანონით უნდა იყოს რეგულირებული, როგორც ამას მოითხოვს პროპორციულობის პრინციპი, და უნდა შეფასდეს ყველა ჩართული მხარის ინტერესები.⁴⁴ დაჩქარებულ პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი დაკავება გამოყენებული უნდა იქნეს იმ შემთხვევებში, რომლებიც მიჩნეულია „აშკარად დაუსაბუთებლად“ ან „ერთმნიშვნელოვნად არამართლზომიერად“;⁴⁵ ხოლო დაკავებულებს აქვთ უფლება ისარგებლონ ამ სახელმძღვანელო პრინციპებში ჩამოყალიბებული დაცვის მექანიზმებით.

პირის თავდაპირველი იდენტიფიცირება და/ან უსაფრთხოების შემოწმება

24. პირის თავდაპირველი იდენტიფიცირების და უსაფრთხოების შემოწმების განხორციელებისთვის შეიძლება ნებადართული იქნეს დაკავების

მინიმალური პერიოდები, იმ შემთხვევებში, როდესაც პირის ვინაობა დადგენილი არ არის ან სადავოა, ან არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხე.⁴⁶ ამასთანავე, დაკავება უნდა გაგრძელდეს მხოლოდ დროის იმ პერიოდში, რომელშიც მიმდინარეობს გონივრული ძალისხმევის განხორციელება პირის ვინაობის დასადგენად ან უსაფრთხოების საკითხის შესამოწმებლად, და კანონით დადგენილი ვადების მკაცრის დაცვით (იხ. ქვემოთ).

25. იმის გათვალისწინებით, რომ თავშესაფრის მაძიებლებს ხშირად აქვთ ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ შესვლის ან უკანონო გადაადგილების საპატიო მიზეზი,⁴⁷ ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე მოგზაურობის ჩათვლით, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის საიმიგრაციო დებულებები არ აწესებდეს არარეალისტურ მოთხოვნებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების რაოდენობისა და ხარისხის მიმართ, რომლებიც ჩვეულებრივ უნდა წარადგინონ თავშესაფრის მაძიებლებმა. გარდა ამისა, საჭირო დოკუმენტების არაარსებობის შემთხვევაში პირის ვინაობა შეიძლება დადგინდეს სხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით. საჭირო დოკუმენტების წარდგენის შეუძლებლობა ავტომატურად არ უნდა იქნეს მიჩნეული თანამშრომლობის უარყოფად, ან არ უნდა მიეცეს უარყოფითი შეფასება უსაფრთხოებასთან მიმართებით. თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც დოკუმენტების გარეშე იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე იმის გამო, რომ თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში მათი მიღება არ შეუძლიათ, არ უნდა დაექვემდებარონ თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ ამ მიზეზით. ამის ნაცვლად, საჭიროა დადგინდეს, შეუძლია თუ არა თავშესაფრის მაძიებელ პირს დამაჯერებლად ახსნას დოკუმენტის არარსებობის ან განადგურების, ან ყალბი დოკუმენტების ფლობის მიზეზი, აქვს თუ არა ასეთ პირს ხელისუფლების შეცდომაში შეყვანის განზრახვა, ან უარს ამბობს თუ არა პირი თანამშრომლობაზე ვინაობის დადგენის პროცესში.
26. საჭიროა დადგინდეს დაკავების მკაცრი ვადები ვინაობის დადგენის მიზნით, რაც შეიძლება გამოიწვიოს დოკუმენტების არარსებობამ, და რაც წარმოადგენს განუსაზღვრელი ან ხანგრძლივი ვადით დაკავების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს.
27. მოქალაქეობა, ჩვეულებრივ, პირის ვინაობის დამადასტურებელია, თუმცა მისი შეფასება ძნელია, ხოლო, როდესაც საქმე ეხება მოქალაქეობის არმქონე პირებს, ეს შეფასება სათანადო პროცედურის შესაბამისად უნდა მოხდეს.⁴⁸

წინასწარი ინტერვიუს დროს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის საფუძვლების შესახებ ინფორმაციის ჩაწერა, რომლის მიღებაც ვერ მოხერხდება დაკავების გარეშე

28. დასაშვებია თავშესაფრის მაძიებლის დაკავება შეზღუდული საწყისი პერიოდით, წინასწარი ინტერვიუს კონტექსტში, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის საფუძვლების შესახებ ინფორმაციის ჩაწერის მიზნით.⁴⁹ თუმცა,

მსგავსი დაკავება, შეიძლება გამართლებული იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიღება შეუძლებელია პირის დაკავების გარეშე. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს თავშესაფრის მაძიებლისაგან მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღებას, კერძოდ, რატომ არის თავშესაფრის მაძიებელი ძებნილი, მაგრამ არ მოითხოვს განაცხადის შეტანის სრული არსებითი მიზეზების განხილვას. ეს გამონაკლისი ზოგადი პრინციპიდან, რომელიც ადგენს, რომ თავშესაფრის მაძიებლის დაკავება არის უკიდურესი ზომა, არ უნდა იქნეს გამოყენებული თავშესაფრის მაძიებელი პირის დაკავების გასამართლებლად მისი სტატუსის გარკვევის მთელი პროცედურის განმავლობაში, ან შეუზღუდავი ვადით.

4.1.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

29. ცალკეულ თავშესაფრის მაძიებელთა სამედიცინო შემოწმება შეიძლება გახდეს გარკვეული პერიოდით თავისუფლების აღკვეთის კანონიერი საფუძველი, იმ პირობით, რომ ასეთი დაკავება დასაბუთებული იქნება თითოეული კონკრეტული შემთხვევისთვის ან განხორციელებული იქნება პრევენციული ღონისძიების სახით ინფექციური დაავადებების ან ეპიდემიათა გავრცელების შემთხვევაში. იმიგრაციის კონტექსტში, ასეთი სამედიცინო შემოწმება შეიძლება ჩატარდეს ქვეყანაში შესვლის დროს, ან შესვლიდან შესაძლო უმოკლეს დროში. ამის საფუძველზე მათი დაკავების ან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ვადის გაგრძელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გამართლებულია მკურნალობის მიზნებისთვის, რომელსაც დანიშნავს უფლებამოსილი კვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალი, და მხოლოდ მკურნალობის დასრულებამდე. ასეთი დაკავება უნდა განხორციელდეს შესაბამისი ობიექტების ტერიტორიაზე, როგორცაა, სამედიცინო კლინიკები, საავადმყოფოები, ან სპეციალურად განსაზღვრული სამედიცინო ცენტრები აეროპორტებში და საზღვრებზე. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაკავების ვადის გაგრძელება, რომელიც გათვალისწინებული იყო თავდაპირველი სამედიცინო შემოწმების ფარგლებში, დასაშვებია მხოლოდ კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის განკარგულებით, რაც ექვემდებარება სასამართლო ზედამხედველობას.

4.1.3 ეროვნული უსაფრთხოების დაცვა

30. მთავრობებს შეიძლება დასჭირდეთ კონკრეტული პირის დაკავება, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას.⁵⁰ მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა განსაზღვრავს თუ რა წარმოადგენს საფრთხეს ეროვნული უშიშროებისთვის, მიღებული ზომები (როგორცაა, დაკავება) უნდა განხორციელდეს სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც ამ სახელმძღვანელო პრინციპებშია ჩამოყალიბებული. კერძოდ, დაკავება უნდა იყოს აუცილებელი, საფრთხის

პროპორციული, არადისკრიმინაციული და იგი უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს.⁵¹

4.1.4 მიზნები, რომლებიც არ შეიძლება გახდეს დაკავების საფუძველი

31. დაკავება, რომელიც ლეგიტიმურ მიზანს არ ემსახურება, შეიძლება იყოს თვითნებური.⁵² ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი.

დაკავება, როგორც სასჯელი ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შესვლისთვის და/ან როგორც თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიგრაციის შემაკავებელი ფაქტორი

32. როგორც 1-ლ და მე-2 პრინციპებშია აღნიშნული, პირის დაკავება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი თავშესაფარს ეძებს, მართლზომიერი არ არის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.⁵³ თავშესაფრის მაძიებელ პირთა ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შეღწევა ან ყოფნა სახელმწიფოს არ ანიჭებს ავტომატურ უფლებამოსილებას დააკავოს ან სხვა გზით შეზღუდოს ასეთ პირთა გადაადგილების თავისუფლება. დაკავება, რომელიც ხორციელდება თავშესაფრის მაძიებელთა ნაკადის შესაკავებლად, ან იმ პირთა გადაწყვეტილების შესაცვლელად, რომლებსაც უკვე შეტანილი აქვთ განაცხადი, არ შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს. გარდა ამისა, დაკავება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სასჯელის სახედ, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში, ან - დისციპლინურ ზომად ქვეყანაში უკანონო შესვლის ან ყოფნის გამო.⁵⁴ გარდა ჯარიმისა, რომელიც ასეთ შემთხვევაში განისაზღვრება 1951 წლის კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად, იგი ამავდროულად შეიძლება ტოლფასი იყოს კოლექტიური დასჯის, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევაა.⁵⁵

თავშესაფრის მაძიებელთა დაკავება გაძევების საფუძველზე

33. ზოგადი წესის შესაბამისად, უკანონო თავშესაფრის მაძიებლის დაკავება გაძევების საფუძველით, თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის განხილვის პერიოდში, რადგან არ შეიძლება მათი ქვეყნიდან გასახლება მანამ, სანამ მიღებული არ იქნება საბოლოო გადაწყვეტილება მათ მოთხოვნასთან დაკავშირებით. გაძევების მიზნით დაკავება ხდება მხოლოდ განაცხადის განხილვისა და უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.⁵⁶ თუმცა, როდესაც არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თავშესაფრის მაძიებელმა კონკრეტულმა პირმა თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი ან თხოვნა წარადგინა მხოლოდ გაძევების ან დეპორტაციის გადავადების ან თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლებას შეუძლია განიხილოს ასეთი პირის დაკავების საკითხი - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი ზომის აუცილებლობისა და პროპორციულობის დადასტურების შემთხვევაში - რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ პირთა მიმალვა მათი განაცხადის შესწავლის პერიოდში.

პრინციპი 4.2:

დაკავება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ემსახურება კანონიერ მიზანს და დადგენილია, რომ იგი არის აუცილებელი, გონივრული ყველა გარემოებაში და ლეგიტიმური მიზნის პროპორციული


34. დაკავების აუცილებლობა, გონივრულობა და პროპორციულობა უნდა შეფასდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის თავდაპირველად და დროთა განმავლობაში (იხ. პრინციპი 6). ინდივიდუალური პირის დაკავების საჭიროება უნდა შეფასდეს დაკავების მიზეზების ფონზე (იხ. პრინციპი 4.1), ასევე ყველა გარემოებაში ამ დაკავების გონივრულობის მიმართებაში. ეს უკანასკნელი მოითხოვს ინდივიდუალური პირის განსაკუთრებული საჭიროებების ან მდგომარეობის შეფასებას (იხ. პრინციპი 9). პროპორციულობის ზოგადი პრინციპი მოითხოვს, რომ დაცული იქნეს ბალანსი პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების პატივისცემის დაგადაადგილების თავისუფლებასა და სახელმწიფო პოლიტიკის მოთხოვნებს შორის, რომელიც ამ უფლებათა შეზღუდვასთან ან მათ უარყოფასთანაა დაკავშირებული.⁵⁷ ხელისუფლებამ არ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება, გარდა იმ ქმედებათა, რომლებიც აუცილებელია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. აუცილებლობისა და პროპორციულობის გამოკვლევა ასევე მოითხოვს შეფასდეს იყო თუ არა შესაძლებელი ინდივიდუალური პირის მიმართ გამოყენებინათ ნაკლებად შემზღუდავი ან იძულებითი ღონისძიებები (ანუ დაკავების ალტერნატივები), რომლებიც ეფექტური იქნებოდა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (იხ. პრინციპი 4.3 და დანართი A).

პრინციპი 4.3:

გათვალისწინებული უნდა იქნეს დაკავების ალტერნატივები

35. დაკავების ალტერნატივების განხილვა - ანგარიშგების მოთხოვნით დაწყებული, სტრუქტურირებული სათემო ზედამხედველობით და/ან საქმისწარმოების პროგრამებით დამთავრებული (იხ. დანართი A) - დაკავების აუცილებლობის, გონივრულობისა და პროპორციულობის შეფასების ნაწილია (იხ. პრინციპი 4.2). ასეთი განხილვა უზრუნველყოფს, რომ თავშესაფრის მაძიებლის დაკავება იყოს უკიდურესი და არა უპირველესი საშუალება. განხილვის დროს უნდა დადგინდეს, რომ თავშესაფრის მაძიებლის კონკრეტული გარემოებების ფონზე არ არსებობდა რაიმე სხვა, ნაკლებად მკაცრი ან იძულებითი ზომა, რომელიც იმავე მიზნის მიღწევას უზრუნველყოფდა.⁵⁸ ამრიგად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია განხილული იქნეს დაკავების ალტერნატივების არსებობა, ეფექტურობა და მიზანშეწონილობა.⁵⁹

36. დაკავების მსგავსად, დაკავების ალტერნატიული ზომები უნდა რეგულირდებოდეს კანონებითა და დებულებებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული თავისუფლების ან გადაადგილების თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის დაწესება.⁶⁰ სამართლებრივი დასაბუთებულობის პრინციპი მოითხოვს ამ ალტერნატივების სათანადო რეგულირებას (იხ. პრინციპი 3). სამართლებრივი ნორმები უნდა ადგენდეს და განსაზღვრავდეს სხვადასხვა შესაძლო ალტერნატივებს, მათი გამოყენების კრიტერიუმებს, ასევე, მათ განხორციელებაზე და დაცვაზე პასუხისმგებელ ორგანოს (ორგანოებს).⁶¹
37. დაკავების ალტერნატივები, რომლებიც ზღუდავს თავშესაფრის მაძიებელთა თავისუფლებას, შეიძლება ზემოქმედებას ახდენდეს მათ ადამიანის უფლებებზე და ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ადამიანის უფლებათა ნორმებს, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი ორგანოების მიერ პერიოდული გადასინჯვა.⁶² ინდივიდუალურ პირებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება დაკავების ალტერნატიული ზომები, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ საჩივრის წარდგენის ეფექტიან მექანიზმებზე, ასევე, დაცვის სათანადო საშუალებებზე.⁶³ დაკავების ალტერნატივებზე ხელმისაწვდომობა უნდა არსებობდეს არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ პრაქტიკაშიც.
38. დაკავების ალტერნატივები არ უნდა იქნეს გამოყენებული პატიმრობის ალტერნატიულ ფორმებად; დაკავების ალტერნატივა ასევე არ უნდა იყოს განთავისუფლების ალტერნატივა. გარდა ამისა, ისინი არ უნდა ანაცვლებდეს ჩვეულებრივი მიღების ღია მექანიზმებს, რომლებიც არ ითვალისწინებს თავშესაფრის მაძიებელთა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას.⁶⁴
39. დაკავების ალტერნატივების შემუშავებისას მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა დაიცვან მინიმალური ჩარევის პრინციპი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზოგიერთი მოწყვლადი ჯგუფის კონკრეტულ სიტუაციას, როგორც არიან ბავშვები, ფეხმძიმე ქალები, ხანდაზმულები, უნარშეზღუდული პირები ან ტრავმის შედეგად დაზარალებული პირები (იხ. პრინციპი 9).⁶⁵



გამოსახულება 2.⁶⁶

40. დაკავების ალტერნატივებს შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს, კონკრეტული პირის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე - რეგისტრაციის და/ან დოკუმენტების შეტანის/გადაცემის, გიროთი/თავდებობით/გარანტიით განთავისუფლების, პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების, საზოგადოებრივი ზედამხედველობის/განთავისუფლების, დადგენილი საცხოვრებელი ადგილის, ელექტრონული მონიტორინგის ან შინაპატიმრობის ჩათვლით (ამ ალტერნატივათა განმარტებისთვის იხ. დანართი A). ისინი შეიძლება ითვალისწინებდეს თავისუფალი გადაადგილების ან თავისუფლების მეტად ან ნაკლებად შეზღუდვას, და ამ თვალსაზრისით თანაბარი არ არიან (იხ. გამოსახულება 2). მართალია, ანგარიშგება ტელეფონის ან სხვა თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ალტერნატივადაა მიჩნეული, განსაკუთრებით მობილურობის პრობლემის მქონე პირებისთვის,⁶⁷ თუმცა ელექტრონული მონიტორინგის სხვა ფორმები - როგორცაა, ელექტრონული სამაჯურები ან საწვივეები - მკაცრ ზომად მიიჩნევა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი გამოყენება ასოცირდება სისხლის სამართლის დამნაშავეებთან;⁶⁸ ასეთი ზომების გამოყენება მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან აცილებული.
41. საუკეთესო პრაქტიკა უჩვენებს, რომ ალტერნატიული ზომები ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც თავშესაფრის მაძიებელს
- ეპყრობიან ღირსებით, ჰუმანურად და პატივისცემით თავშესაფრის ძიების მთელი პროცედურის განმავლობაში;
 - ადრეულ ეტაპზე აწვდიან მკაფიო და დეტალურ ინფორმაციას მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია დაკავების ალტერნატივასთან, ასევე მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სათანადო შედეგების შესახებ;
 - აქვს ხელმისაწვდომობა იურიდიულ კონსულტაციაზე თავშესაფრის ძიების მთელი პროცედურის განმავლობაში;
 - უზრუნველყოფენ სათანადო მატერიალური მხარდაჭერით, განთავსებით და მიღების სხვა პირობებით, ან ხელმისაწვდომობით თვითკმარობისთვის საჭირო საშუალებებზე (შრომის უფლების ჩათვლით); და

- თავშესაფრის მიღების განაცხადთან დაკავშირებით შეუძლია ისარგებლოს საქმის მართვის ინდივიდუალური მომსახურებით (დეტალური განმარტებისთვის იხ. დანართი A).⁶⁹
42. დოკუმენტაცია დაკავების ალტერნატიული პროგრამების აუცილებელი ელემენტია. მისი საშუალებით ხდება დადასტურება იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებელს (და მისი ოჯახის ყველა წევრს) აქვს გარკვეულ თემში ცხოვრების უფლება. დოკუმენტები ასევე წარმოადგენს დამცავ მექანიზმს დაკავების (ხელახალი დაკავების) წინააღმდეგ; მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ საცხოვრებლის დაქირავებას, სამუშაოზე მოწყობას, ჯანდაცვის, განათლების და/ან სხვა სფეროებში მომსახურებით სარგებლობას.⁷⁰ დანართი A იძლევა დამატებით ინფორმაციას დაკავების ალტერნატიული ფორმების შესახებ.

პრინციპი 5

პატიმრობის პირობები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული

43. საერთაშორისო სამართალი კრძალავს პირის დაკავებას ან გადაადგილებას თავისუფლების შეზღუდვას რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა სტატუსის საფუძველზე, როგორცაა თავშესაფრის მაძიებლის ან ლტოლვილის სტატუსი.⁷¹ ეს ვრცელდება მაშინაც, როდესაც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობა.⁷² სახელმწიფოები ასევე პასუხისმგებელნი არიან რასობრივი დისკრიმინაციისთვის, თუკი ისინი დაკავებას უსჯიან „გარკვეული ეროვნების“ პირებს.⁷³ ნებისმიერ პირს, სულ მცირე, უფლება აქვს გაასაჩივროს მისი დაკავება, თუკი იგი ასეთ საფუძველზე მოხდა; ხოლო სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ ამ თვალსაზრისით მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეთა და არამოქალაქეთა შორის განსხვავებისთვის არსებობდა ობიექტური და გონივრული საფუძველი.⁷⁴

პრინციპი 6:

განუსაზღვრელი ვადით პატიმრობა უკანონოა, მაქსიმალური საპატიმრო ვადა განისაზღვრება კანონით

44. როგორც 4.2 პრინციპშია მითითებული, მიღებული ზომების პროპორციულობის შემოწმება უნდა მოხდეს დაკავების შესახებ როგორც თავდაპირველი გადაწყვეტილების მიღებისას, ისე დაკავების ვადის ნებისმიერი გაგრძელების დროს. დაკავების ვადა შეიძლება იყოს არაპროპორციული, თუმცა კანონიერად მიღებული, რის გამოც იგი მიიჩნევა თვითნებურად. იმიგრაციის მიზნებისთვის განუსაზღვრელი ვადით დაკავება თვითნებურია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.⁷⁵

45. თავშესაფრის მაძიებელი პირი არ უნდა იქნეს დაკავებული უფრო მეტი ვადით, ვიდრე ამას აუცილებლობა მოითხოვს; ხოლო, როდესაც დაკავების საფუძველი ძალადაკარგულია, თავშესაფრის მაძიებელი პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს (პრინციპი 4.1).⁷⁶
46. თვითნებური დაკავების თავიდან აცილების მიზნით, დაკავების მაქსიმალური ვადა უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით. როდესაც მაქსიმალური ვადა განსაზღვრული არ არის, დაკავება შეიძლება გაგრძელდეს, ზოგ შემთხვევაში, განუსაზღვრელი ვადით, მათ შორის, განსაკუთრებით, თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიმართ.⁷⁷ თავშესაფრის მაძიებელ პირთა დაკავების მაქსიმალური ვადა არ შეიძლება შემცირდეს ამ პირთა მოკლე ვადით განთავისუფლებით, იმ მიზნით, რომ მალე კვლავ დააკავონ იმავე საფუძველით.

პრინციპი 7:

პირის დაკავების ან დაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაცული უნდა იქნეს მინიმალური საპროცესო გარანტიები

47. თუკი თავშესაფრის მაძიებელ პირს ემუქრება დაკავება, ან უკვე დაკავებულია, მას აქვთ უფლება ისარგებლოს შემდეგი მინიმალური საპროცესო გარანტიებით:
- (i) დაკავების ან დაპატიმრების დროს ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები⁷⁸ და ამ ბრძანებასთან დაკავშირებული უფლებები, გადასინჯვის პროცედურის ჩათვლით, მისთვის გასაგებ ენაზე და ტერმინებით.⁷⁹
 - (ii) ეცნობოს, რომ მას აქვს ადვოკატის ყოლის უფლება. უფასო იურიდიული დახმარება, სათანადო შემთხვევაში, უნდა გაეწიოს იმავე გარემოებებში, რომლებიც მოცემული ქვეყნის მოქალაქეებისთვისაა გათვალისწინებული,⁸⁰ და ეს დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაკავებიდან ან დაპატიმრებიდან უმოკლეს დროში, რათა ადვოკატმა დაკავებულს დახმარება გაუწიოს მისი უფლებების გაგებაში. ადვოკატსა და თავშესაფრის მაძიებელს შორის კომუნიკაცია უნდა დაექვემდებაროს ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალობის დაცვის პრინციპს. ადვოკატებს უნდა ჰქონდეთ თავიანთ კლიენტზე და მის ხელთ არსებულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა, და უნდა ჰქონდეთ საშუალება შეხვდნენ მათ კლიენტებს უსაფრთხო, პრივატულ გარემოში.
 - (iii) დაუყოვნებლივ წარსდგეს სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე, დაკავების გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით. იდეალურ შემთხვევაში, დაკავების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვა უნდა მოხდეს ავტომატურად, და იგი უნდა გაიმართოს თავშესაფრის მაძიებელი პირის დაკავებიდან 24-48 საათის განმავლობაში. გადასინჯვა უნდა განახორციელოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსაგან დამოუკიდებელმა ორგანომ, და მას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება პირის განთავისუფლების ან განთავისუფლების პირობების შეცვლის შესახებ.⁸¹

- (iv) დაკავების თავდაპირველი გადასინჯვის შემდეგ, სასამართლომ ან დამოუკიდებელმა ორგანომ მოახდინოს დაკავების ვადის გაგრძელების საჭიროების რეგულარული პერიოდული შემოწმება, რომელზედაც დასწრების უფლება აქვთ თავშესაფრის მაძიებელს და მის წარმომადგენელს. წარმატებული პრაქტიკის შესაბამისად, გადახედვა უნდა ჩატარდეს ყოველ შვიდ დღეში ერთხელ ერთ თვემდე პერიოდის განმავლობაში, ხოლო შემდეგ - ყოველთვიურად, კანონით დადგენილი დაკავების მაქსიმალური ვადის მიღწევამდე.
- (v) (iii) და (iv) პუნქტებში მითითებული გადასინჯვის შედეგების მიუხედავად, დაცული უნდა იქნეს უფლება, რომლის შესაბამისადაც პირს შეუძლია, პირადად ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, სასამართლოს წინაშე გაასაჩივროს მისი დაკავების მართლზომიერების საკითხი ნებისმიერ ეტაპზე.⁸² დაკავების კანონიერების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოცემული ხელისუფლების ორგანოს. მე-4 პრინციპის შესაბამისად, ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობს დაკავების სამართლებრივი საფუძველი, რომ დაკავება გამართლებულია აუცილებლობის, გონივრულობისა და პროპორციულობის პრინციპების შესაბამისად და რომ ყოველი ინდივიდუალური შემთხვევის კონტექსტში განხილული იყო სხვა, ნაკლებ მკაცრი საშუალებები იმავე მიზნის მისაღწევად.
- (vi) დაკავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა თავშესაფრის პროცედურებზე, და დაკავებამ ხელი არ უნდა შეუშალოს თავშესაფრის მაძიებელის განაცხადის განხილვას.⁸³ თავშესაფრის მიღების პროცედურებზე ხელმისაწვდომობა უნდა იყოს რეალისტური და ეფექტური. დაცული უნდა იქნეს დაკავებული პირებისთვის დამხმარე მასალების წარდგენის ვადები და მათი ხელმისაწვდომობა სამართლებრივ დაცვასა და ლინგვისტურ დახმარებაზე.⁸⁴ ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი თავშესაფრის მაძიებლები უზრუნველყოფილი იყვნენ ზუსტი სამართლებრივი ინფორმაციით თავშესაფრის მინიჭების პროცესისა და მათი უფლებების შესახებ.
- (vii) ჰქონდეს UNHCR-თან კონტაქტის საშუალება.⁸⁵ საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა სხვა უწყებებთან, როგორცაა, ლტოლვილთა საკითხებზე მომუშავე ეროვნული ორგანო ან სხვა უწყებები, ომბუდსმენის სამსახურის, ადამიანის უფლებათა კომისიების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ უწყებათა წარმომადგენლებთან პირადი ურთიერთობის უფლება და მათთან კონტაქტის საშუალებები.
- (viii) დაცული უნდა იქნეს საერთო მონაცემებისა და კონფიდენციალობის დაცვის პრინციპები თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით.
- (ix) წერა-კითხვის უცოდინრობის დადგენა უნდა მოხდეს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, და გამოყენებული უნდა იქნეს მექანიზმები, რომლებიც წერა-კითხვის

უცოდინარ თავშესაფრის მაძიებლებს საშუალებას მისცემს მოითხოვონ ადვოკატთან, ექიმთან, ვიზიტორთან შეხვედრა და შეიტანონ საჩივარი.⁸⁶

პრინციპი 8:

დაკავების პირობები უნდა იყოს ჰუმანური და ღირსეული

48. დაკავების შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს დაკავების განმავლობაში ჰქონდეს შემდეგი მინიმალური პირობები:

- (i) დაკავება კანონიერად მიიჩნევა მხოლოდ ისეთ ადგილებში, რომლებიც ოფიციალურად არის აღიარებული დაკავების ადგილებად. პოლიციის განყოფილებების საკნებში დაკავება სათანადოდ არ არის მიჩნეული.⁸⁷
- (ii) თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიმართ მოპყრობა უნდა იყოს ღირსეული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.⁸⁸
- (iii) საიმიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებული მიზეზების გამო თავშესაფრის მაძიებელ პირთა დაკავება არ უნდა ატარებდეს სადამსჯელო ხასიათს.⁸⁹ თავიდან უნდა იქნეს აცილებული ციხეების, საპატიმროების და ციხისა და საპატიმროს ფუნქციის მქონე ობიექტების გამოყენება. თუკი დაკავებული თავშესაფრის მაძიებლები ასეთ ობიექტში იმყოფებიან, ისინი ციხის საერთო პატიმრებისაგან განცალკევებული უნდა იყვნენ.⁹⁰ დაუშვებელია სისხლის სამართლის ნორმების გამოყენება (მაგალითად, პატიმრის ფორმის ან ბორკილების ტარება).
- (iv) დაკავებულთა ვინაობა და მათი დაკავების ადგილები, ასევე დაკავების პერიოდში მათზე პასუხისმგებელ პირთა ვინაობა, შეტანილი უნდა იქნეს რეესტრში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული მხარეებისთვის, ნათესავებისა და ადვოკატების ჩათვლით. თუმცა, ასეთ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალობის საკითხებთან უნდა დაბალანსდეს.
- (v) თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც ორივე სქესის ტუსალები არიან მოთავსებულნი, ქალები და მამაკაცები ერთმანეთისაგან განცალკევებით უნდა იყვნენ განთავსებულნი, თუკი ისინი ერთ ოჯახს არ წარმოადგენენ. ბავშვები ზრდასრულებისაგან განცალკევებით უნდა მოათავსონ, თუკი ეს ზრდასრულები მათი ნათესავები არ არიან.⁹¹ იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ოჯახები უნდა უზრუნველყონ ცალკე საცხოვრებლით. ოჯახებისთვის ცალკე საცხოვრებლის უზრუნველყოფით თავიდან იქნება აცილებული ერთი ოჯახის წევრების მოთავსება სამართლო საკნებში, სხვა ალტერნატივების არარსებობის პირობებში (ეს განსაკუთრებით ეხება მამებს, რომლებიც მარტო მოგზაურობენ თავიანთ შვილებთან ერთად).
- (vi) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო სამედიცინო მკურნალობა, ფსიქოლოგიური კონსულტაციების

ჩათვლით. დაკავებულები, რომლებსაც სამედიცინო მზრუნველობა სჭირდებათ, უნდა გადაიყვანონ შესაბამის დაწესებულებებში ან ჩაუტარონ სათანადო მკურნალობა იქ, სადაც ისინი დაკავებულნი არიან. სამედიცინო და ფსიქიატრიული შემოწმება დაკავებულებს უნდა შესთავაზონ დაწესებულებაში მიყვანიდან უმოკლეს დროში, და იგი უნდა ჩაატარონ კომპეტენტურმა სპეციალისტებმა. დაკავების პერიოდში დაკავებულმა პირებმა პერიოდულად უნდა გაიარონ სამედიცინო და ფსიქიატრიული შემოწმება. დაკავების შედეგად მრავალმა მათგანს აღენიშნება ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხასიათის პრობლემები, ამიტომ, ასევე, საჭიროა პერიოდული შემოწმება, მაშინაც კი, როდესაც ასეთი სიმპტომები მათ დაწესებულებაში შესვლისას არ აღენიშნებოდათ. თუკი დაკავებულ პირებს დაკავების დროს აქვთ სამედიცინო ან ფსიქიკური ხასიათის პრობლემები, ან ასეთი პრობლემების გამოვლენა მოხდება დაკავების პერიოდში, დაკავებული პირები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სათანადო მოვლითა და მკურნალობით, განთავისუფლების საკითხის განხილვის ჩათვლით.

- (vii) დაკავებულ თავშესაფრის მამიებლებს უნდა ჰქონდეთ ნათესავებთან და მეგობრებთან მუდმივი კონტაქტისა (სატელეფონო და, იქ სადაც შესაძლებელია, ინტერნეტის ჩათვლით) და შეხვედრის საშუალება, ასევე, რელიგიური, საერთაშორისო და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, თუკი მათ ამის სურვილი აქვთ. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონტაქტი UNHCR-თან. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადგილები ასეთი ვიზიტებისთვის. ასეთი ვიზიტები ჩვეულებრივ პრივატულ გარემოში ხდება, თუკი არ არსებობს საფუძვლიანი მიზეზები იმისთვის, რომ ასეთი შეხვედრები პრივატულად არ ჩატარდეს უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე.
- (viii) უნდა არსებობდეს გარკვეული ფიზიკური ვარჯიშის საშუალება, ყოველდღიური გამაჯანსაღებელი აქტივობების მეშვეობით, როგორც შენობაში, ისე შენობის გარეთ; ასევე შესაძლებელი უნდა იყოს დაწესებულების გარეთ გასეირნება, სუფთა ჰაერზე და დღის შუქზე ყოფნის ჩათვლით. აგრეთვე საჭიროა აქტივობები, რომლებიც ქალებისა და ბავშვებისთვის იქნება შექმნილი, კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.⁹²
- (ix) დაცული უნდა იქნეს პირის მიერ თავისი რელიგიის აღმსარებლობის უფლება.
- (x) დაკავების ადგილზე თავშესაფრის მამიებელი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირველადი საჭიროების ნივთებით, როგორცაა, საწოლი, კლიმატისთვის შესაფერისი ქვეშაგებელი, საშხაპე, პირადი ჰიგიენის საგნები და სუფთა ტანსაცმელი. მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთი ტანსაცმლის ტარების უფლება, და საშხაპით და ტუალეტით

პრივატულად სარგებლობის საშუალება, დაწესებულების უსაფრთხო მართვის მოთხოვნების შესაბამისად.

- (xi) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს **სათანადო კვებითი ღირებულების მქონე საკვები**, ასაკის, ჯანმრთელობის და კულტურული/რელიგიური მოთხოვნების გათვალისწინებით. ხელმისაწვდომი უნდა იყოს სპეციალური დიეტური საკვები ორსული და მეძუძური ქალებისთვის.⁹³ ობიექტები, სადაც ხდება საკვების მომზადება და მიღება, სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.
- (xii) თავშესაფრის მაძიებლებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა საკითხავ მასალაზე და დროულ ინფორმაციაზე, სადაც ეს შესაძლებელია (მაგალითად, გაზეთების, ინტერნეტის და ტელევიზიის მეშვეობით).
- (xiii) თავშესაფრის მაძიებლებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა განათლებაზე და/ან პროფესიულ მომზადებაზე, მათი დაკავების ხანგრძლივობის შესაბამისად. ბავშვებს, მათი სტატუსისა და დაკავების ხანგრძლივობის მიუხედავად, უფლება აქვთ მისაწვდომობა ჰქონდეთ, სულ მცირე, დაწყებით განათლებაზე.⁹⁴ სასურველია, რომ ბავშვებმა განათლება მიიღონ ადგილობრივ სკოლებში, დაკავების ობიექტის გარეთ.
- (xiv) თავიდან უნდა იქნეს აცილებული თავშესაფრის მაძიებელთა ხშირი გადაყვანა დაკავების ერთი ადგილიდან - მეორეში, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ხელს შეუშლის მათ ხელმისაწვდომობას და კონტაქტს კანონიერ წარმომადგენლებთან.
- (xv) უნდა არსებობდეს არადისკრიმინაციული გასაჩივრების მექანიზმი (ან საჩივრის განხილვის პროცედურა),⁹⁵ რომელიც უზრუნველყოფს საჩივრის უშუალოდ ან კონფიდენციალურად წარდგენას დაკავებაზე პასუხისმგებელ ორგანოში. საჩივრის შეტანის პროცედურა, შეტანის ვადებისა და გასაჩივრების წესის ჩათვლით, გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილზე და გადათარგმნილი სხვადასხვა ენაზე.
- (xvi) დაკავებულებთან მომუშავე პერსონალი სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული, მათ შორის, თავშესაფრით უზრუნველყოფის, სქესობრივი და გენდერული ძალადობის,⁹⁶ ტრავმის და/ან სტრესის სიმპტომების გამოვლენის, ლტოლვილების და ადამიანის უფლებების, დაკავების პირობების საკითხებზე. პერსონალისა და დაკავებულთა რაოდენობრივი შეფარდება უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს;⁹⁷ ხელმოწერილი უნდა იყოს ქცევის წესები და უნდა ხდებოდეს მათი დაცვა.
- (xvii) კარგ პრაქტიკად მიიჩნევა დაკავებულთა მდგომარეობის მონიტორინგის უფლებამოსილების გადაცემა კერძო კონტრაქტორებისთვის. თუმცა, ასევე ცხადია, რომ ეროვნული ორგანოები ვერ დადებენ კონტრაქტებს, რომლებიც ითვალისწინებს მათ გათავისუფლებას ვალდებულებებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ლტოლვილთა ან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან, და ისინი

პასუხისმგებელი არიან საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კერძო კონტრაქტორთა საქმიანობის ეფექტური კონტროლი, მათ შორის, მონიტორინგის და ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმების მეშვეობით, ხელშეკრულებების ან თანამშრომლობის შესახებ სხვა შეთანხმებების დარღვევის საკითხების ჩათვლით, როდესაც მოვალეობები სათანადოდ არ სრულდება.⁹⁸

(xviii) დაკავების პერიოდში დაბადებული ბავშვები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ რეგისტრირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უნდა გაიცეს დაბადების მოწმობები.⁹⁹

პრინციპი 9:

გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული თავშესაფრის მაძიებელთა განსაკუთრებული მდგომარეობა და საჭიროებები

პრინციპი 9.1

ტრავმირებულნი ან წამების მსხვერპლნი

49. თავშესაფრის ძიებასთან დაკავშირებულ გარემოებათა და ტრავმული მოვლენების გამო, რაც ხშირად თან სდევს გაქცევას, თავშესაფრის მაძიებელი შეიძლება ფსიქოლოგიურად დაავადდეს, მიიღოს ტრავმა, დაემართოს დეპრესია, გამოუვლინდეს ადგილობრივი აგრესიულობა და სხვა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური მოვლენები. დაკავების აუცილებლობის განსაზღვრისას ასეთი ფაქტორები სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული (იხ. პრინციპი 4). განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ წამების და სხვა სერიოზული ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლნი, და ისინი, ზოგადად, არ უნდა დააკავონ.
50. დაკავება ამწვავებს და, ხშირ შემთხვევაში, იწვევს ზემოაღნიშნულ დაავადებებსა და სიმპტომებს.¹⁰⁰ ეს ხდება მაშინაც კი, როდესაც პირს დაკავების დროს არანაირი სიმპტომი არ აღენიშნება.¹⁰¹ ვინაიდან დაკავებას თან სდევს სერიოზული შედეგები, საჭიროა კვალიფიციური ექიმების მიერ ჩატარდეს დაკავებულთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის თავდაპირველი და პერიოდული შემოწმებები. ასეთ პირებს აუცილებლად უნდა დაენიშნოთ სათანადო მკურნალობა, ხოლო სამედიცინო დასკვნები პერიოდულად წარმოდგენილი უნდა იქნეს მათი დაკავების მთელი დროის განმავლობაში.

პრინციპი 9.2

ბავშვები

51. ამ სახელმძღვანელო პრინციპებში ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები *a fortiori* ეხება ბავშვებს,¹⁰² რომლებიც, პრინციპში, საერთოდ არ უნდა დააკავონ.

გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (CRC) კონკრეტულ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს ადგენს ბავშვებთან დაკავშირებით და აყალიბებს ბავშვებთან დაკავშირებულ რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპს:

- ბავშვების მიმართ ყველა მოქმედება უპირველეს ყოვლისა უნდა ითვალისწინებდეს **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** უზრუნველყოფას, თავშესაფრის მამიებელი და ლტოლვილი ბავშვების ჩათვლით (CRC-ის მე-3 მუხლში 22-ე მუხლთან ერთობლიობაში).
- **დაუშვებელია დისკრიმინაცია** რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, უნარშეზღუდულობის, დაბადების ან სხვა სტატუსის საფუძველზე, ან ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის წევრების სტატუსის, საქმიანობის, შეხედულებებისა და რწმენის საფუძველზე (CRC-ის მე-2 მუხლი).
- ყოველ ბავშვს აქვს **სიცოცხლის, გადარჩენის და განვითარების ფუნდამენტური უფლება** შესაძლებლობის მაქსიმალურ ფარგლებში (CRC-ის მე-6 მუხლი).
- ბავშვებს უნდა ჰქონდეთ **უფლება თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებები** და მათ შეხედულებებს „სათანადო ყურადღება“ უნდა დაეთმოს, ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად (CRC-ის მე-12 მუხლი).¹⁰³
- ბავშვებს აქვთ **ოჯახის გაერთიანების** უფლება (*inter alia*, CRC-ის მე-5, მე-8 და მე-16 მუხლები) და უფლება, არ განშორდნენ თავიანთ მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ (CRC-ის მე-9 მუხლი). კონვენციის მე-20 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ადგენს, რომ ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად არის მოკლებული თავის ოჯახურ გარემოცვას, ან რომელსაც საკუთარი საუკეთესო ინტერესების გამო არ შეუძლია ასეთ გარემოცვაში დარჩეს, სახელმწიფოს მხრიდან **განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება** აქვს.
- CRC-ის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფები მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა, თავიანთი ეროვნული კანონების შესაბამისად, უზრუნველყონ ასეთი **ბავშვების ალტერნატიული მოვლა**. ასეთი მოვლა, *inter alia*, მოიცავს აღსაზრდელად გადაცემას ან, აუცილებლობის შემთხვევაში, ბავშვთა მზრუნველობის შესაბამის დაწესებულებაში მოთავსებას. არჩევანთა განხილვის დროს სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის აღზრდის უწყვეტობა და მისი ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური და კულტურული კუთვნილება და ენა.
- CRC-ის 22-ე მუხლი მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს მიიღონ სათანადო ზომები, რათა ბავშვები, რომლებიც ითხოვენ ლტოლვილის სტატუსს ან რომლებიც აღიარებულნი არიან ლტოლვილებად, არიან ისინი

მარტო თუ თანმხლებთან ერთად, უზრუნველყოფილი იქნენ სათანადო დაცვითა და დახმარებით.

- CRC-ის 37-ე მუხლი მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს უზრუნველყონ, რომ ბავშვთა დაკავება გამოყენებული იქნეს მხოლოდ უკიდურეს ზომად და რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე დროის განმავლობაში.
- როდესაც დაკავების კონტექსტში ბავშვის ან ბავშვების მშობლებისაგან განშორება გარდაუვალია, როგორც მშობლებს, ისე ბავშვებს უფლება აქვთ სახელმწიფოსაგან მიიღონ საჭირო ინფორმაცია მათი ოჯახის წევრთა ადგილსამყოფელის შესახებ, თუ ამ ინფორმაციის გადაცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას (CRC-ის მე-9 მუხლის მე-4 პარაგრაფი).

52. ზოგადად, მოვლის ეტიკა - და არა იძულება - უნდა იყოს თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებთან ურთიერთქმედების სახელმძღვანელო პრინციპი, ოჯახში მყოფ ბავშვთა ჩათვლით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ბავშვის უკიდურესი მოწყვლადობა აღემატება „არალეგალი უცხოელის“ სტატუსს.¹⁰⁴ სახელმწიფოებმა, „ბავშვთა დაცვის შესაბამისი სისტემის ფარგლებში, უნდა გამოიყენონ სათანადო პროცედურები ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა ადეკვატურ მონაწილეობას - დისკრიმინაციის გარეშე, სადაც ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ექცევა მისი ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად, სადაც ჩართულნი არიან შესაბამის სფეროებში გამოცდილების მქონე გადაწყვეტილების მიმღები პირები, და სადაც გათვალისწინებულია ბალანსი ყველა შესაბამის ფაქტორს შორის, რაც მიზნად ისახავს საუკეთესო არჩევანის შეფასებას.“¹⁰⁵

53. იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვები მშობლებთან ერთად იმყოფებიან, განხილული უნდა იქნეს მოვლის ყველა სათანადო და შესაძლო ალტერნატივა - და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაკავება დასაბუთებულად მავნე ზემოქმედებას ახდენს ბავშვის კეთილდღეობაზე, მათი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ჩათვლით. ბავშვების მშობლებთან ან მათზე მზრუნველ პირებთან ერთად დაკავება უნდა ითვალისწინებდეს, *inter alia*, მთლიანი ოჯახის ოჯახური და პირადი ცხოვრების უფლებას, დაკავების ადგილის პირობების მორგებულობას ბავშვზე¹⁰⁶ და ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

54. როგორც წესი, არ უნდა მოხდეს თანმხლების გარეშე მყოფ ან განცალკევებულ ბავშვთა დაკავება. არ შეიძლება დაკავება გამართლებული იქნეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი არის უფროსების თანხლების გარეშე ან მათგან განცალკევებული, ან მისი იმიგრაციისა ან ბინადრობის სტატუსის საფუძველზე.¹⁰⁷ შესაძლებლობის შემთხვევაში, ბავშვები უნდა გააგზავნონ ოჯახის წევრებთან, რომლებიც უკვე ცხოვრობენ თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში. თუკი ეს შეუძლებელია, ბავშვზე ზრუნვის კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ალტერნატიული მოვლის ზომები, მაგალითად, ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ან მისი მოთავსება მზრუნველობით

დაწესებულებაში, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა მიიღოს სათანადო ზედამხედველობა. ბავშვთა მიმღები ოჯახები ან ბავშვთა მზრუნველობის დაწესებულებები უნდა უზრუნველყოფდნენ ბავშვის სათანადო განვითარებას (ფიზიკურსა და გონებრივს), ვიდრე მიღებული იქნება გადაწყვეტილება ბავშვის ქვეყანაში ყოფნის გრძელვადიანი პერსპექტივის შესახებ.¹⁰⁸ უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა.

55. თავშესაფრის მაძიებელ ბავშვთა ასაკის ზუსტი განსაზღვრა ზოგიერთ გარემოებებში იოლი არ არის და იგი სათანადო მეთოდების გამოყენებას მოითხოვს, ადამიანის უფლებათა დაცვის გათვალისწინებით.¹⁰⁹ ასაკის არაზუსტმა შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვთა უკანონო დაკავება.¹¹⁰ ამან ასევე შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მოთავსება საცხოვრებელში უფროსებთან ერთად. ბავშვები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მათი ასაკისა და გენდერის შესაფერი საცხოვრებლით.

56. დაკავებულ ბავშვებს უფლება აქვთ ისარგებლონ იმავე **მინიმალური საპროცესო გარანტიებით**, რომლითაც ზრდასრულები სარგებლობენ, მაგრამ, უნდა მოხდეს მათი მისადაგება ბავშვთა კონკრეტული საჭიროებებისადმი (იხ. პრინციპი 9). თანმხლების გარეშე მყოფ ან განცალკევებულ ბავშვებს უნდა დაენიშნოთ კვალიფიციური **მეურვე და, ასევე, იურიდიული მრჩეველი**.¹¹¹ დაკავების განმავლობაში ბავშვებს აქვთ **განათლების უფლება**, რაც, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს დაკავების ადგილის გარეთ, რათა ხელი შეუწყოს მათი განათლების პროცესის გაგრძელებას გათავისუფლების შემდეგ. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი **დასვენება და თამაში, მათ შორის სხვა ბავშვებთან**, რაც აუცილებელია ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის და სტრესებისა და ტრავმების სიმწვავის შესამცირებლად (იხ. აგრეთვე, პრინციპი 8).

57. მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა, თავშესაფრის პროცედურის პრიორიტეტული წესით წარმართვის ჩათვლით, ბავშვთა დაუყოვნებელი განთავისუფლების უზრუნველსაყოფად, და მათ განსათავსებლად სათანადო პირობების მქონე სხვა სახის საცხოვრებლებში.¹¹²

პრინციპი 9.3

ქალები

58. როგორც წესი, არ უნდა მოხდეს ორსული ქალებისა და მემუძური დედების დაკავება, რომლებსაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ.¹¹³ ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ალტერნატიული ზომები, სქესობრივი ან გენდერული საფუძვლით განხორციელებული ძალადობისაგან და ექსპლუატაციისაგან დაცვის მექანიზმების ჩათვლით.¹¹⁴ დაკავების ალტერნატივების გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ცალკე შენობები ქალების და/ან მათი ოჯახების განსათავსებლად.

59. როდესაც თავშესაფრის მაძიებელ ქალთა დაკავება გარდაუვალია, დაკავების ადგილები და მოხმარების საგნები უნდა აკმაყოფილებდნენ ქალის ჰიგიენის სპეციალურ მოთხოვნებს.¹¹⁵ ასეთ შემთხვევაში, მცველებისა და ზედამხედველების ფუნქციას ქალები უნდა ასრულებდნენ.¹¹⁶ დაკავებულ ქალებთან მომუშავე ყველა პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს პროფესიული მომზადება ქალთა სპეციფიკური გენდერული მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ.¹¹⁷
60. დაკავებული თავშესაფრის მაძიებელი ქალები, რომლებიც იტყობინებიან მათზე ძალადობის შესახებ, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ დაცვით, მხარდაჭერითა და კონსულტაციებით, ხოლო მათი საჩივრები უნდა გამოიძიონ კომპეტენტურმა და დამოუკიდებელმა ორგანოებმა, კონფიდენციალობის პრინციპის სრული დაცვით, იმ შემთხვევათა ჩათვლით, როდესაც ქალები დაკავებულნი არიან თავიანთ ქმრებთან/პარტნიორებთან/სხვა ნათესავებთან ერთად. დაცვის ღონისძიებები ასევე უნდა ითვალისწინებდეს შურისძიების საფრთხეს.¹¹⁸
61. დაკავებული თავშესაფრის მაძიებელი ქალები, რომელთა მიმართ განხორციელდა სექსობრივი ძალადობა, დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყონ სათანადო სამედიცინო დახმარებითა და კონსულტაციით, მათ შორის, როდესაც ძალადობის შედეგი არის ორსულობა, ამასთანავე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საჭირო ფიზიკური მოვლა, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, მხარდაჭერა და სამართლებრივი დახმარება.¹¹⁹

პრინციპი 9.4

ტრეფიკინგის (ადამიანით ვაჭრობის) მსხვერპლნი ან პოტენციური მსხვერპლნი

62. ტრეფიკინგის ან განმეორებითი ტრეფიკინგის თავიდან აცილება არ შეიძლება გახდეს დაკავების უშუალო მიზეზი, თუკი იგი დასაბუთებული არ არის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (იხ. პრინციპი 4.1). ზოგჯერ აუცილებელია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა მიმართ დაკავების ალტერნატივების გამოყენება, როგორცაა უსაფრთხო საცხოვრებელი და სხვა სოციალური ხელშეწყობა; ეს განსაკუთრებით ეხება ბავშვებს.¹²⁰

პრინციპი 9.5

უნარშეზღუდული თავშესაფრის მაძიებელი პირები

63. უნარშეზღუდული თავშესაფრის მაძიებელი პირები უნდა სარგებლობდნენ ამ სახელმძღვანელო პრინციპებით გათვალისწინებული უფლებებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამისთვის სახელმწიფოებს შეიძლება დასჭირდეთ დაკავების „სათანადო ადგილების“ შექმნა და დაკავების პოლიტიკასა და პრაქტიკაში ცვლილებების შეტანა, უნარშეზღუდულ პირთა კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად.¹²¹ საჭიროა ასეთ პირთა სწრაფი და სისტემატიური იდენტიფიცირება იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული

მათი თვითნებური დაკავება;¹²² ხოლო ნებისმიერი ალტერნატიული ზომა მორგებული უნდა იქნეს ფიზიკურად შეზღუდულ პირთა სპეციფიკურ მოთხოვნებს, მაგალითად, განხილვის პროცესის შესახებ ანგარიშგება სატელეფონო საუბრების მეშვეობით. როგორც ზოგადი წესი, არ უნდა დააკავონ თავშესაფრის მაძიებლები, რომლებსაც აქვთ ქრონიკული ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური და სენსორული აშლილობა.¹²³ გარდა ამისა, უნარშეზღუდული პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საიმპრაციო პროცედურები, მათ შორის, სადაც საჭიროა, რომ მოხდეს მათი თავისუფალი გადაადგილების უფლების ხელშეწყობა.¹²⁴

პრინციპი 9.6

ხანდაზმული თავშესაფრის მაძიებლები

64. ხანდაზმული თავშესაფრის მაძიებლები შეიძლება საჭიროებდნენ განსაკუთრებულ მოვლასა და დახმარებას თავიანთი ასაკის, მოწყვლადობის, შეფერხებული მოძრაობის, ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ჯანმრთელობის და სხვა პირობების გამო. ასეთი მოვლისა და დახმარების გარეშე მათი დაკავება შეიძლება იყოს უკანონო. ალტერნატიული ზომების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი განსაკუთრებული მდგომარეობა, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ჩათვლით.¹²⁵

პრინციპი 9.7

ლესბოსელი, ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი ან ინტერსექსუალი თავშესაფრის მაძიებელი

65. შესაძლოა საჭირო გახდეს ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ლესბოსელი, ჰომოსექსუალი, ტრანსსექსუალი ან ინტერსექსუალი თავშესაფრის მაძიებლები არ დაექვემდებარონ სასტიკი მოპყრობის, ფიზიკური, ფსიქიკური ან სქესობრივი ძალადობის საფრთხეს; და რომ მათ ექნებათ ხელმისაწვდომობა სათანადო სამედიცინო დახმარებასა და კონსულტაციებზე, სადაც ეს შესაძლებელია; და რომ დაკავებასთან დაკავშირებული პერსონალი და ყველა სხვა თანამდებობის პირი - როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში - რომლებიც დაკავების ობიექტებთან არიან დაკავშირებულნი, იქნება სათანადოდ მომზადებული და კვალიფიცირებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების და თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის სფეროში, სქესობრივი ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ჩათვლით.¹²⁶ თუკი დაკავების პირობებში შეუძლებელია მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, განხილული უნდა იქნეს მათი გათავისუფლების ან დაკავების ალტერნატივების

გამოყენების საკითხი. ამ მხრივ, სამართლო საკანში მოთავსება არ არის შესაფერისი გადაწყვეტილება ასეთ პირთა დაცვის უზრუნველსაყოფად.

პრინციპი 10:

დაკავების პირობები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ მონიტორინგსა და ინსპექტირებას

66. იმისათვის, რომ იმიგრანტთა დაკავების სისტემები შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს, მნიშვნელოვანია, რომ იმიგრანტთა დაკავების ცენტრები ღია იყოს დამოუკიდებელი ეროვნული და საერთაშორისო უწყებებისა და ორგანოების კონტროლისა და მონიტორინგისთვის.¹²⁷ ეს შესაძლოა მოიცავდეს დაკავებულთა რეგულარულ მონახულებას, კონფიდენციალობის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპების დაცვას, ან ინსპექტირების გაუფრთხილებელ ვიზიტებს. სახელშეკრულებო ველდებულებებისა და საერთაშორისო დაცვის შესაბამისი სტანდარტების მიხედვით, UNHCR-ს¹²⁸ და სხვა შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს, რომელთა მანდატი უკავშირდება დაკავებას ან ჰუმანურ მოპყრობას, უნდა მიეცეთ წვდომა ასეთ დაწესებულებებთან. ¹²⁹ სათანადო შემთხვევებში, ასევე ხელი უნდა შეეწყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვას მონიტორინგის მიზნებისთვის. დამოუკიდებელი და გამჭვირვალე შეფასება და მონიტორინგი აგრეთვე ნებისმიერი ალტერნატიული პროგრამის მნიშვნელოვანია ასპექტია.¹³⁰
67. დაკავების პირობების და დაკავებულ ქალთა მიმართ მოპყრობის მონიტორინგისას, ნებისმიერი მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ქალები.¹³¹

დანართი A

დაკავების ალტერნატივები

68. დაკავების მრავალი ალტერნატივა არსებობს, რომლებიც ქვემოთაა განხილული. ზოგი მათგანი გამოიყენება ერთობლივად, და როგორც ამ დოკუმენტის ძირითად ტექსტშია აღნიშნული, ზოგი უფრო მკაცრ შეზღუდვებს აწესებს თავისუფლებაზე ან გადაადგილების თავისუფლებაზე, ვიდრე სხვები. ჩამონათვალი ამომწურავი არ არის.

(i) **დოკუმენტაციის გადაცემა ან ჩაბარება:** თავშესაფრის მაძიებელ პირებს შეიძლება მოსთხოვონ პირადობის და/ან სხვა სამგზავრო დოკუმენტაციის (როგორცაა, პასპორტები) გადაცემა ან ჩაბარება. ასეთ შემთხვევაში მათთვის უნდა გაიცეს შემცველი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მოცემულ ტერიტორიაზე მათი ყოფნის და/ან თემში ცხოვრების უფლებას.¹³²

(ii) **ანგარიშგების პირობები:** საიმიგრაციო ან სხვა ორგანოების (მაგალითად, პოლიციის) წინაშე პერიოდული ანგარიშგება შეიძლება იყოს პირობა, რომელსაც კონკრეტულ თავშესაფრის მაძიებელს უწესებენ სტატუსის დადგენის პროცედურის განმავლობაში. ასეთი ანგარიშგება შეიძლება იყოს პერიოდული, ან იგეგმებოდეს თავშესაფრის შესახებ განაცხადის განხილვის დროს ან/და რაიმე სხვა ოფიციალური შეხვედრების ფარგლებში. ანგარიშგება შეიძლება ასევე ხდებოდეს რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ან კერძო კონტრაქტორის მიმართ, საზოგადოებრივი ზედამხედველობის ფარგლებში (იხ.vii).

თუმცა, ანგარიშგების ზედმეტად დამამძიმებელმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს უარი თანამშრომლობაზე იმ პირების მხრიდან, რომლებიც თავდაპირველად თანამშრომლობისთვის მზად იყვნენ. მაგალითად, ანგარიშგებამ, რომლებიც თავშესაფრის მაძიებელი პირისაგან და/ან მისი ოჯახისაგან მოითხოვს დიდ მანძილზე მგზავრობას ან/და საკუთარი სახსრების ხარჯვას, შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლობაზე უარის თქმა პირობის შესრულების შეუძლებლობის გამო, და შეიძლება გამოიწვიოს არასამართლიანი დისკრიმინაცია ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე.¹³³

დროთა განმავლობაში უნდა შემცირდეს ანგარიშგების სიხშირე - ან ავტომატურად, ან მოთხოვნის საფუძველზე - რომლის დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაწესებული პირობების შესაბამისობა აუცილებლობის, გონივრულობისა და პროპორციულობის მოთხოვნებთან. ანგარიშგების პირობების რაიმე ზრდა ან სხვა დამატებითი შეზღუდვები უნდა იყოს დასახული მიზნის პროპორციული, და იგი უნდა ეფუძნებოდეს მიმალვის მომატებული რისკის ინდივიდუალურ და ობიექტურ შეფასებას,

(iii) **განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი:** თავშესაფრის მაძიებლები შეიძლება გაათავისუფლონ იმ პირობით, რომ ისინი, მათი სტატუსის განსაზღვრამდე,

იცხოვრებენ კონკრეტულ მისამართზე, ან კონკრეტული ადმინისტრაციული რეგიონის ფარგლებში. თავშესაფრის მაძიებლებს შესაძლოა ასევე მოეთხოვოთ, მიიღონ წინასწარი ნებართვა, როდესაც მათ სურთ დატოვონ დადგენილი ადმინისტრაციული რეგიონი; ან აცნობონ ხელისუფლებას, რომ მისამართს იცვლიან ერთი და იმავე რეგიონის ფარგლებში. აუცილებელია, გაწეული იქნეს ძალისხმევა, რათა საცხოვრებლად დადგინდეს ისეთი ადგილი, რომელიც ხელს შეუწყობს ოჯახის ერთიანობას ან ნათესავეებთან¹³⁴ და/ან სხვა მხარდამჭერ ქსელებთან სიახლოვეს. საცხოვრებელი ადგილის დადგენა შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს ღია ცენტრებში ან სხვა თავშესაფრებში განთავსებას, რაც უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი ცენტრების წესებს (იხ. iv).

- (iv) **ცხოვრება ღია ან ნახევრად ღია მიმღებ ცენტრებში ან თავშესაფრებში:** ღია ან ნახევრად ღია მიმღებ ცენტრებში ან თავშესაფრებში ცხოვრება, მოცემულ მისამართზე აუცილებელი ცხოვრების პირობით, დადგენილი საცხოვრებლის კიდევ ერთი ფორმაა (იხ. ზემოთ, iii). ნახევრად ღია ცენტრებში, კარგი ადმინისტრირების მიზნით, შეიძლება შემოღებული იყოს გარკვეული წესები და რეგულაციები, როგორცაა, მაგალითად, კომენდანტის საათი და/ან ცენტრში შესვლისა და გასვლის რეგისტრირება. თუმცა, საჭიროა დაცული იქნეს ზოგადი გადაადგილების თავისუფლება, ცენტრის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ, რათა იგი არ იქცეს დაკავების ფორმად.
- (v) **გარანტორის/თავმდების უზრუნველყოფა:** თავშესაფრის მაძიებელთათვის კიდევ ერთი ალტერნატიული საშუალებაა გარანტორის/თავმდების უზრუნველყოფა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათ დასწრებაზე ოფიციალურ შეხვედრებსა და მოსმენებზე, ან განახორციელებს ანგარიშგებას სხვა განსაზღვრული მეთოდებით. გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს გარანტორის/თავმდების მიმართ სანქციების დაწესება, უფრო ხშირად, ფულადი ჯარიმის სახით. მაგალითად, გარანტორი შეიძლება იყოს ოჯახის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციის ან საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენელი.
- (vi) **გათავისუფლება გირაოთი/თავდებობით:** ეს ალტერნატივა, თავშესაფრის მაძიებლებს, რომლებიც უკვე დაკავებულნი არიან, გირაოთი გათავისუფლების საშუალებას აძლევს. შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ზემოხსენებული პირობა (ii)-(v). იმისათვის, რომ თავშესაფრის მაძიებლებს მართლაც ჰქონდეთ გირაოს გამოყენების საშუალება, გირაოსთან დაკავშირებული განხილვები უნდა ხდებოდეს ავტომატურად. ალტერნატივის სახით, თავშესაფრის მაძიებლებს უნდა აცნობონ ასეთი შესაძლებლობების შესახებ, რომელიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ეფექტური. გირაოთი გათავისუფლების შესაძლებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია ადვოკატის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. თანხა უნდა იყოს გონივრული, უნდა ითვალისწინებდეს თავშესაფრის მაძიებელთა განსაკუთრებულ მდგომარეობას და არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ გირაოს სისტემამ მხოლოდ თეორიული ხასიათი მიიღოს.

გირაოთი/თავდებით გათავისუფლების და გარანატორით/თავმდებით უზრუნველყოფის სისტემებისთვის დამახასიათებელია დისკრიმინაცია შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ, ან მათ მიმართ, ვისაც სოციალური კავშირები არა აქვთ. ამის შედეგად, იქ, სადაც არსებობს გირაოთი/თავდებით გათავისუფლების და გარანატორით/თავდებით უზრუნველყოფის სისტემები, მთავრობებმა უნდა შეისწავლონ ისეთი ვარიანტები, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლებისაგან რაიმე ფინანსურ დანახარჯებს არ მოითხოვს. მაგალითად, მათი „გირაოთი გათავისუფლება“ შეიძლება მოხდეს არასამთავრობო ორგანიზაციისთვის - არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიძლება შეასრულოს გარანტორის როლი (იხ. ზემოთ, პუნქტი v) - ან მთავრობასთან შეთანხმების შედეგად.¹³⁵ ძალადობის და/ან ექსპლუატაციისაგან დაცვის გარანტიები, როგორცაა ინსპექტირება და ზედამხედველობა, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ სისტემებში, რომლებშიც არასამთავრობო და სხვა ორგანოებია ჩართული. ყველა შემთხვევაში, თითოეული კონკრეტული საქმისთვის აუცილებლად უნდა შეფასდეს, არის თუ არა აუცილებელი გირაოს გადახდა ან გარანტის/თავდების დანიშვნა. თავშესაფრის მაძიებლისაგან გირაოს გადახდის სისტემატური მოთხოვნა და/ან გარანტის/თავდების დანიშვნა, იმის გათვალისწინებით, რომ შეუსრულებლობის შედეგად მას დააკავებენ (ან დაკავების ვადას გაუხანგრძლივებენ), ნიშნავს, რომ სისტემა უკანონოა და არ არის მორგებული ინდივიდუალურ გარემოებებს.

- (vii) **საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები:** საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები მოიცავს პრაქტიკის ფართო სპექტრს, რომელთა ფარგლებშიც კონკრეტული პირები და ოჯახები საზოგადოებაში ცხოვრობენ გარკვეული ზომის მხარდაჭერისა და კონტროლის პირობებში (ანუ, „ზედამხედველობის“). დამხმარე ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ხელშეწყობას საცხოვრებელი ადგილის, სკოლის ან სამუშაოს მოძიებასა და შერჩევაში, ან, სხვა შემთხვევებში, პირველადი მოხმარების საგნების, სოციალური დაზღვევის ან სხვა სახის მომსახურებათა უშუალო მიწოდებას. „ზედამხედველობა“ შეიძლება განხორციელდეს ღია ან ნახევრად ღია მიმღებ ცენტრებში ან თავშესაფრებში, ან მომსახურების მიმწოდებელ შესაბამის დაწესებულებებში, ამ დროს კი თავშესაფრის მაძიებელი თავისუფლად ცხოვრობს საზოგადოებაში. ზედამხედველობა შეიძლება გახდეს თავშესაფრის მაძიებელი პირის გათავისუფლების პირობა და, ამრიგად, შეიძლება ითვალისწინებდეს პირდაპირ ანგარიშგებას მომსახურების მიმწოდებლის ან საიმიგრაციო თუ სხვა შესაბამისი ორგანოების წინაშე (იხ.ii).

ზედამხედველობა ასევე შეიძლება იყოს არჩევითი, იმგვარად, რომ ინდივიდუალურ პირები იქნებიან ინფორმირებული მათთვის ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ, მათში მონაწილეობისთვის რაიმე

ვალდებულებების დაკისრების გარეშე. საზოგადოებრივი მეთვალყურეობა ასევე შეიძლება მოიცავდეს საქმის წარმოების მართვას (იხ. შემდეგი).

დამატებითი ზომები და სხვა მოსაზრებები

საქმის წარმოება

საქმის წარმოება, დაკავების მრავალი წარმატებული ალტერნატიული პოლიტიკისა და პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტად იქნა მიჩნეული. იგი ასევე თავშესაფრის მიცემის წარმატებული სისტემის ერთ-ერთი ასპექტია. საქმის წარმოება ინდივიდუალურ პირთა მხარდაჭერისა და თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ მათი განაცხადების მართვის სტრატეგიაა, ვიდრე მათი სტატუსის საკითხი განხილვის სტადიაშია. აქ აქცენტი გადატანილია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაზე, სტატუსის დროულ და სამართლიან რეგულირებაზე და კეთილდღეობისა და უზრუნველყოფის მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესებაზე.¹³⁶ ასეთმა პოლიტიკამ განავითარა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცესში კონსტრუქციული ურთიერთმოქმედება და ხელი შეუწყო პრინციპებთან შესაბამისობისა და თანამშრომლობის დონის გაუმჯობესებას.

საქმის წარმოება არის ინტეგრირებული პროცესის კომპონენტი, რომელიც იწყება თავშესაფრის ძიების პროცესის ადრეულ ეტაპზე და გრძელდება მანამ, სანამ არ მიიღებენ გადაწყვეტილებას პირისთვის ლტოლვილის ან სხვა სტატუსის მინიჭების შესახებ, რომელიც ქვეყანაში კანონიერად დარჩენის უფლებას მისცემს, ან პირის დეპორტაციამდე. ამ სისტემის არსი არის ის, რომ თავშესაფრის თითოეულ მაძიებელს მიამაგრებენ „საქმის მენეჯერს“, რომელიც პასუხისმგებელია მათ მთლიან საქმეზე, მკაფიო და თანმიმდევრული ინფორმაციის მიწოდებისა და თავშესაფრის ძიების პროცესის შესახებ რჩევების მიცემის ჩათვლით (ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მიგრაციისა და/ან დაბრუნების პროცესების შესახებ). იგი აგრეთვე პასუხისმგებელია მისი გათავისუფლების ნებისმიერ პირობაზე და თანამშრომლობაზე უარის თქმის შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის დამოუკიდებელი პროცესი, იგი წარმოადგენს დაკავების წარმატებული ალტერნატივას. გამჭვირვალობა, ინფორმაციის აქტიური გაცვლა და დაინტერესებულ მხარეთა შორის კარგი თანამშრომლობა ხელს უწყობს მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას და არსებული მოთხოვნებისადმი შესაბამისობის გაუმჯობესებას.¹³⁷

პერსონალის უნარები და პირადი თვისებები

პერსონალის უნარებსა და პირად თვისებებს შეუძლია წვლილი შეიტანოს ალტერნატიული ზომების გამოყენების წარმატებასა თუ წარუმატებლობაში.

საჭიროა პერსონალის შერჩევისა და მომზადების კარგად მართვა, სპეციალური ტრენინგების, კურსებისა და/ან სერტიფიცირების ჩატარების ჩათვლით.¹³⁸ დაკავებისა და დაკავების ალტერნატიული ღონისძიებების მნიშვნელოვანი ასპექტია პერსონალის ქცევასთან დაკავშირებული ქცევის კოდექსები და სხვა რეგულაციები.

არასამთავრობო ორგანიზაციების ან კერძო კონტრაქტორების მიერ უზრუნველყოფილი ალტერნატივები

როდესაც დაკავების ალტერნატივებს არასამთავრობო ორგანიზაციები ან კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ, საჭიროა გაფორმდეს იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებები შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან, და იგი უნდა იქნეს რეგულარულად კონტროლირებადი მთავრობის, დამოუკიდებელი ეროვნული ინსპექციებისა და/ან საერთაშორისო ორგანიზაციების ან უწყებების მხრიდან (როგორცაა, UNHCR).

ასეთ ხელშეკრულებებში უნდა აისახოს თითოეული ორგანოს როლი და მოვალეობები, ასევე, გასაჩივრების, შემოწმებისა და, დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში - ხელშეკრულების მოშლის მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ხელშეკრულებები არ გახდეს უფრო შემზღვევითი ზომების მასტიმულირებელი, ვიდრე ამას აუცილებლობა მოითხოვს. ალტერნატივების შემუშავებასა და/ან რეალიზებაში არასამთავრობო ან კერძო ორგანიზაციების როლის მიუხედავად, და მაშინ, როდესაც კანონით მათ შეიძლება დაეკისროთ დაკავებულთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა, სახელმწიფო კვლავ ინარჩუნებს ადამიანის უფლებებისა და ლტოლვილთა სამართლის სტანდარტების დაცვის ვალდებულებას. , საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს, რომ პირის თავისუფლებისა და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ არასახელმწიფო ორგანოებს.¹³⁹

კანონის დარღვევასთან დაკავშირებით ბრძანებების შესრულების პროცესში არასამთავრობო ან კერძო ორგანიზაციების როლი შეიძლება სხვადასხვა იყოს (მაგალითად, ხელისუფლებისთვის მტკიცებულებების წარდგენა პირის გამოუცხადებლობის ან მიმალვის შესახებ). თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აღსრულების პროცესში ამ ორგანიზაციების მონაწილეობა აუცილებელია.

სქოლიო

¹ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ზოგადი კომენტარი No.15: *უცხოელთა მდგომარეობა კონვენციის საფუძველზე*, 1986 წლის 11 აპრილი, პარ. 5, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.unhcr.org/refworld/docid/45139acfc.html>. იხ. აგრეთვე, *Moustaquim v. Belgium*, (1991), ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა სასამართლო (ECtHR), App. No. 26/1989/186/246, პარ. 43, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.unhcr.org/refworld/docid/3ae6b7018.html> და *Vilvarajah and Others v. the United Kingdom*, (1991), ECtHR, App. No. 45/1990/236/302-306, პარ. 103, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.unhcr.org/refworld/docid/3ae6b7008.html>.

² იხ. კერძოდ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR), უმაღლესი კომისრის აღმასრულებელი კომიტეტი (ExCom), *დასკვნა თავშესაფრის მაძიებელთა მიღების შესახებ ინდივიდუალური თავშესაფრის სისტემების კონტექსტში*, No. 93 (LIII) – 2002, ხელმისაწვდომია: <http://www.unhcr.org/refworld/docid/3dafdd344.html>. ExCom-ის ყველა დასკვნა ასევე ხელმისაწვდომია თემების მიხედვით UNHCR-ში, *აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნების ნაკრები*: მე-6 გამოცემა, 2011 წლის ივნისი, <http://www.unhcr.org/refworld/docid/3dafdd344.html>.

³ UNHCR, *ლტოლვილთა დაცვა და შერეული მიგრაცია: ათპუნქტიანი გეგმა მოქმედებაში*, 2011 წლის თებერვალი, იხ.: <http://www.unhcr.org/refworld/docid/4d9430ea2.html>.

⁴ ა. ედვარდსი, *უკან - საფუძვლებისკენ (მიბრუნება ძირითადისკენ?): თავისუფლების და პირადი უსაფრთხოების უფლება და „დაკავების ალტერნატივები“ ლტოლვილთათვის, თავშესაფრის მაძიებელთათვის, მოქალაქეობის არმქონე პირთათვის და სხვა მიგრანტებისთვის*, UNHCR-ის იურიდიული და სამართლებრივი დაცვის კვლევის სერიები (პერიოდული გამოცემები), PPLA/2011/01.Rev.1, 2011 წლის აპრილი, გვერდი 1 (“არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება იმისა, რომ შესაძლო დაკავების(დაკავების შესაძლებლობის) გამო კლებულობდეს არალეგალური მიგრაცია, ან პირები თავშესაფრის ძიებაზე ამზობდნენ უარს.”) (ედვარდსი, უკან - საფუძვლებისკენ: თავისუფლების და პირადი უსაფრთხოების უფლება და „დაკავების ალტერნატივები“), იხ. <http://www.unhcr.org/refworld/docid/4dc935fd2.html>; ხელახლა აღინიშნა მიგრანტთა ადამიანის უფლებათა საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, ფრანსუა კრეპოს ანგარიშში, A/HRC/20/24, 2012 წლის 2 აპრილი, პარ. 8, იხ. <http://www.unhcr.org/refworld/docid/502e0bb62.html>

⁵ საჭიროა მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც თავშესაფარს ეძებს ქვეყნებში და მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ცხოვრობს „თავის“ ქვეყანაში *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის* მე-12 მუხლის მე-4 პარაგრაფის მნიშვნელობით, 1966 (ICCPR). ეს უკანასკნელი მოიცავს პირებს, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდით, ან მუდმივად ცხოვრობენ ქვეყანაში, რომელიც ხშირად არის ის ქვეყანა, სადაც დაიბადნენ. „თავის ქვეყანაში“ ყოფნისას, ეროვნულ კანონმდებლობაში მათი სტატუსის მნიშვნელოვანი ჩართვით, მათ აქვთ შესვლის და დარჩენის უფლება. დაკავების დასაშვებობის საფუძვლების სახელმძღვანელო წესები ამ ორ საფუძველს განსხვავებულად განიხილავს (პრინციპი 4.1.), ზემოდხსენებულ პირველ საფუძველთან მიმართებაში გამოიყენება წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები; თუმცა, იმავე დასაბუთების გამოყენება „თავის“ ქვეყანაში მაცხოვრებელი მოქალაქეობის არმქონე პირთა დაკავებისთვის, ხშირ შემთხვევებში, თვითნებურ (უკანონო) და უსამართლო (მათ, შორის განუსაზღვრელი დროით) დაკავებას გამოიწვევს. დაკავებაზე და მოქალაქეობის არქმენე პირებზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ UNHCR, *სახელმძღვანელო მოქალაქეობის არქონაზე* No. 2: *პიროვნების მოქალაქეობის არმქონე პირად დადგენის პროცედურები*, 2012 წლის 5 აპრილი, HCR/GS/12/02, პარ. 59-62 იხ. <http://www.unhcr.org/refworld/docid/4f7dafb52.html>

